ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 29 აგვისტო 2001 №163 (1436) | ფასი 50 თეთრი


# პრესტიჟმოკლებულთა ფსიქოთერაპია

## მკურნალი ექიმი: ალექსანდრე ჩივაძე



ალექსანდრე ჩივაძემ ნაკრები თბილისში პირველად ავარჯიშა, ნაკრებმა კი „ლოკომოტივზე“ პირველად ივარჯიშა

შემოდგომის ფოთლებივით კი დაცვივდნენ ევროტურნირებიდან ქართული გუნდები, მაგრამ შემოდგომის პირველსავე დღეს ჩვენს ფეხბურთს კვლავ მოუწევს თავის გამოცდა საერთაშორისო სარბიელზე. ამჯერად ყურადღების ცენტრშია ეროვნული ნაკრები, რომელსაც ალექსანდრე ჩივაძე ხელმეორედ ჩაუდგა სათავეში. 1 და 5 სექტემბერს შინდისფრები შინ უნგრეთსა და ლიტვას დაუხვდებიან. ნაკრები გუშინ შეიკრიბა და სასტუმრო „საირმეში“ დაბინავდა. ალექსანდრე ჩივაძემ უნგრეთ-ლიტვისთვის 20 აგვისტოს დაასახელა 25 ფეხბურთელი, რომლებიც 18-მდე უნდა გაცხრილულიყვნენ. ეროვნული გუნდის თავკაცმა უარი თქვა რევაზ ქემოკლიძეზე („ტორპედო“), გიორგი შაშიაშვილზე („დინამო“), როინ ონიანზე („ლოკომოტივი“) და მიხეილ აშვეთიაზე („ტორპედო“). ხოლო ტრავმის გამო თბილისში არ ჩამოსულან თემურ ქეცბაია („ვულვერჰემპტონი“) და არჩილ არველაძე („კიოლნი“). ამჟამად ჩივაძის განკარგულებაში 19 ფეხბურთელია და საამმატჩებოდ მას მხოლოდ სამიდან ერთი მეკარის დათხოვნა მოუწევს.

იხილეთ მეორე გვერდი

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. 29 აგვისტო. გომელი. 19 საათი

# ბელარუსი — საქართველო

# რა უნდა მოეთხოვოს გუნდს, რომელიც ორი დღე აწანწალეს?!

## ქართველ კალათბურთელთა თითქმის ტურისტული საზღვაო-სახმელეთო მოგზაურობა იამბოლიდან გომელამდე

ბულგარელთაგან შერცხვენილი საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები კვირა საღამოს კიევისკენ გაბრუნდა და უკრაინის დედაქალაქში გუშინ, დღის ორი საათისთვის ჩავიდა. ცოტა ხანში ქართველები ბელარუსის გზას დაადგნენ და ჩვენი დროით საღამოს ათი საათისთვის მგზავრობით გათანგულნი ქალაქ გომელში, სამვარსკვლავიანი „ტურისტის“ ნომრებში იყვნენ.

თითქმის არ დარჩენილა ტრანსპორტის სახეობა, რომლითაც ქართველ კალათბურთელებს არ ემგზავროთ — მიკროავტობუსი, ავტობუსი, კატარღა — ეს იმ სატრანსპორტო საშუალებათა არასრული ჩამონათვალია, რომლებითაც ჩვენებს ორი დღის მანძილზე მოუხდათ ბულგარული იამბოლიდან ბელარუსულ გომელამდე გზის გავლა.

გუშინ ღამით, როცა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს გომელში დავუკავშირდით, მან დაღლილი ხმით შეგირდთა სურდო-სიცხეებზე დაიჩივლა და ბოდიში მოგვიხადა, ვარჯიშზე გვაგვიანდებაო... მანამდე კი ნაკრების ცენტრ ზაზა ფაჩულიას გავესაუბრეთ: „წარმოუდგენლად დაღლილები ვართ. ახლახან ჩამოვედით. მგზავრობისას ასე არასდროს გავტანჯულვარ. ბულგარეთში მატარებელში არ აგვიშვეს და იძულებული გავხდით, მრავალი ტრანსპორტი გამოგვეცვალა. მიკროავტობუსით დავიწყეთ და ბოლოს გომელს ავტობუსით მივადექით“.

ქართველები დღეს დილითაც ივარჯიშებენ და თბილისის დროით ცხრა საათზე ბელარუსის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

ირაკლი ბერტაია

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 1 სექტემბერი

საქართველო — უნგრეთი

თბილისი. ლოკომოტივი. 21.00. ტევადობა 25 600

# ლოკომოტივ არენა წარმოგიდგენთ

## პრესტიჟშელახულთა ფსიქოთერაპია

### მკურნალი ექიმები: ალექსანდრე ჩივაძე და ოთარ გაბელია

დასაწყისი პირველ გვერდზე

ჩივაძის სანაკრებო სია ასეთია:

*მეკარეები: დავით გვარამაძე („ტორპედო“), გიორგი ჭანტურია („ბათუმი“), გიორგი ლომაია („ლოკომოტივი“);*

*მცველები: ოთარ ხიზანეიშვილი („როსტსელმაში“, რუსეთი), კახა კალაძე („მილანი“, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი („დანდი“, შოტლანდია), ელიკ საჯაია („ტორპედო“, რუსეთი);*

*ნახევარმცველები: ალექსანდრე რეხვიაშვილი („სკონტო“, ლატვია), ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი (ორივე „ფრაიბურგი“), გიორგი ნემსაძე („დანდი“, შოტლანდია), გოჩა ჯამარაული („ციურიხი“, შვეიცარია), გიორგი ქინქლაძე („დერბი“, ინგლისი), ლადო ბურდული („დინამო“);*

*თავდამსხმელები: შოთა არველაძე („აიაქსი“, ჰოლანდია), მიხეილ ყაველაშვილი („ციურიხი“, შვეიცარია), ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი“, გერმანია), რატი ალექსიძე („ჩელსი“, ინგლისი), გიორგი დემეტრაძე („სოსიედადი“, ესპანეთი).*

გუშინვე საღამოს ალექსანდრე ჩივაძემ გუნდს „ლოკომოტივის“ სტადიონზე მოუყარა თავი. ვარჯიშამდე ნაკრების ახალმა მწვრთნელებმა პირველი პრესკონფერენცია გამართეს, რომელსაც ყველა ფეხბურთელი დაესწრეს. ალბათ, ეს გუნდის გამთლიანებისკენ თუ იყო მიმართული. ყოველ შემთხვევაში, ყიფიან-ძოძუაშვილის მეთოდებში ასეთი რამ არ შედიოდა. ჟურნალისტთა შეკითხვებს, ცხადია, **ალექსანდრე ჩივაძე** პასუხობდა, ნაკრების მეკარეთა მწვრთნელი **ოთარ გაბელია** კი მხოლოდ ერთხელ შევაწუხეთ.

**— ნაკრებს თეორიული შანსი კვლავაც აქვს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად და თუ თქვენი თავკაცობით გუნდი ამას შეძლებს, დარჩებით ნაკრებში?**

— ჩვენ სფფ-მ დაგვავალა, რომ შესარჩევი ციკლის დარჩენილ სამ მატჩში ვუხელმძღვანელოთ გუნდს და დავთანხმდით. ხოლო თუ ფინალურ ეტაპზე გავალთ, ნაკრებში დარჩენა-არდარჩენაზე მერე ვიფიქრებთ.

**— რა მოხდება, ზუსტად ძნელი სათქმელია, მაგრამ შეგიძლიათ გულშემატკივრებს დაპირდეთ, რომ ბოლოდროინდელი წარუმატებლობების შემდეგ ნაკრები უკეთ ითამაშებს?**

— ეს მარტო ჩემზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ფეხბურთელებზეც. ყველამ უნდა გავითავისოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სამ დარჩენილ თამაშს — ჩვენ შელახული პრესტიჟი უნდა აღვიდგინოთ. ვინც მინდორზე გავა, მან თავისი საუკეთესო მატჩი უნდა ჩაატაროს. ამის თაობაზე ფეხბურთელებს დღეს უკვე ვესაუბრე, მერე თითოეულს ცალკე დაველაპარაკები, შემდეგ კვლავ მთელ გუნდს.

**— უნგრეთ — გერმანიის ამხანაგურ მატჩს თუ უყურეთ და რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— ამ შეხვედრის მეორე ტაიმს ცოცხლად ვუყურე, შემდეგ კი მთლიანი მატჩის ვიდეოფირსაც. მიუხედავად წაგებისა, უნგრეთმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**— უნგრეთთან შინ ფრედ რომ ვითამაშოთ, კმაყოფილი დარჩებით?**

— არა, ასეთი შედეგი არ დამაკმაყოფილებს. თუმც თამაშის ხარისხსაც გააჩნია.

**— არგამოძახებულ ზაზა ჯანაშიაზე რას იტყოდით?**

— სამწუხაროა, რომ ზაზა ჯანაშია თავის საქციელის გამო ნაკრებში არ არის გამოძახებული. არ მინდა ის ეროვნულ გუნდისთვის დაიკარგოს, მისი ფსიქოლოგია ღრმად უნდა შევისწავლოთ. ჯანაშია ნიჭიერი ფეხბურთელია, რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში კარგი საგოლე პასიც გააკეთა...

**— გიორგი გახოკიძე რატომ არ გამოიძახეთ?**

— ის ლუქსემბურგთან ამხანაგური მატჩისთვის გამოვიძახეთ და მისმა მზადყოფნამ არ დაგვაკმაყოფილა. ამის გამო გადავწყვიტეთ, ამჯერად აღარ მოგვეწვია ნაკრებში, თორემ მასთან არანაირი პირადული კონფლიქტი არ მომხვლია. ნაკრების კარი ყველასათვის ღიაა, მათ შორის გახოკიძესთვისაც.

**— ნაკრების წინა ხელმძღვანელობა ქინქლაძისა და ჯამარაულის ერთად თამაშს მიზანშეუწონლად მიიჩნევდა, თქვენ რას აპირებთ?**

— ქინქლაძემ და ჯამარაულმა ერთად რომ ითამაშონ, ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. გახსოვთ ალბათ, როცა ადრე ვწვრთნიდი ნაკრებს ეს ორი ფეხბურთელი ერთდროულად გამომყავდა და ახლა რატომ არ უნდა ითამაშონ?

**— მეკარეების საკითხი კვლავ მწვავედ დგას. როგორ მიგაჩნიათ, ქართველ მეკარეთაგან დღესდღეობით ვინ გამოიყურება უკეთ?**

***ოთარ გაბელია:*** იმ დონის მეკარე არ გვყავს, რომელიც გვჭირდება, მაგრამ არც ისაა სწორი, რომ ყველაფერი მეკარეებს დავაბრალოთ. არ გვყავს ოლივერ კანის დარი ოსტატი, თუმც ჩვენი მეკარეებით ძალიან უკმაყოფილოც არ ვარ და მეკარეების პრობლემა, როგორც ასეთი, არ არის. ახლა გამოძახებულ სამივე მეკარეს დავაკვირდებით და ოთხი დღის შემდეგ ვნახავთ, თუ რომელია ამ ეტაპზე საუკეთესო ფორმაში. მეკარეებთან ფსიქოლოგიურადაც ვმუშაობთ.

პრესკონფერენციის შემდეგ ნაკრები ვარჯიშს შეუდგა „ლოკომოტივის“ სტადიონზე, რომლის მინდორს სანიმუშო ნაღდად არ ეთქმის. წვრთნას კი არა უშავდა, უჯიგრობასა და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას მწვრთნელ-ფეხბურთელებს ნამდვილად ვერ დასწამებდით. ერთობ ემოციური გახლდათ ალექსანდრე ჩივაძე, რითაც შეგირდთა დამუხტვას ცდილობდა. მის შეფუცხუნებასა და რეპლიკებს უკვალოდ არ ჩაუვლია — კარგად მოიდინეს ოფლი შინდისფერებმა, რომელთაგან ერთი-ორი აშკარად მდარედ გამოიყურებოდა. მოთელვა, გაჭიმვები, დიდი და პატარა კვადრატები, ვარჯიში სისწრაფეზე, ფლანგური ჩაწოდებები თავურებით და ორკარა — საათზე მეტი მოუნდა ამას ნაკრები და კომფორტულ მერსედესით „საირმეს“ გზას გაუყვა.

ყველაზე ფართო არჩევანი ალექსანდრე ჩივაძეს თავდამსხმელთა შორის აქვს. გუშინ ჩვენ იმ ფორვარდებს გამოველაპარაკეთ, რომლებიც აქამდე არ იყვნენ განებივრებულნი ნაკრების ძირითადში თამაშით და ახალი მწვრთნელის ხელში, ალბათ, ერთი-ორად შეეცდებიან თავის გამოჩენას.

***რატი ალექსიძე***

**— ჩივაძემ ლუქსემბურგის წინააღმდეგ გათამაშა და გოლიც გაიტანე. როგორ ფიქრობ, კმაყოფილი დარჩა მწვრთნელი შენით?**

— თამაშის შემდეგ მწვრთნელს კონკრეტულად ჩემთვის არაფერი უთქვამს. პირადად მე კი, ჩემი თამაშით კმაყოფილი დავრჩი, თუმც მეტიც შემიძლია. მწვრთნელის გვერდში დგომასაც ვგრძნობ.

**— და იმედი გაქვს, რომ უნგრეთთანაც ითამაშებ?**

— როცა ნაკრებში მიძახებენ ყოველთვის მზად ვარ და იმედი მაქვს, რომ ვითამაშებ.

***გიორგი დემეტრაძე***

— ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ტურში მოგეხსენებათ, ბასკური დერბი გვქონდა „ბილბაოსთან“ და დავმარცხდით, თუმც ჯერ ხომ ყველაფერი წინაა. შეკრება თურქეთში გავიარეთ და საკონტროლო მატჩებში ყველაზე მეტი გოლი მე გავიტანე. რაც შეეხება ნაკრებს, ლუქსემბურგთან მატჩით კმაყოფილი ვარ, მოვიგეთ, გოლები შევაგდე და ვეცდები ნაკრებში ადგილი დავიმკვიდრო.

***ალექსანდრე იაშვილი***

**— წინა სეზონში „ფრაიბურგის“ მეექვსე ადგილზე გასვლა მოულოდნელობად შერაცხეს. ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაში კი გუნდმა ცუდი სტარტი აიღო...**

— ეგ ბევრს არაფერს ნიშნავს, წინა სეზონიც ვერ დავიწყეთ კარგად, თორმეტი ტურის შემდეგ გასავარდნთა სახიფათო ზონაშიც კი ვიყავით, მაგრამ მერე...

**— ნაკრების წინა ხელმძღვანელობასთან ისე წაგივიდა საქმე, რომ ბოლო დროს უარს ამბობდი ეროვნულ გუნდში თამაშზე. ახლა კი ვითარება შეიცვალა, რაც ალბათ ნდობის ფაქტორითაა გამოწვეული.**

— კონკრეტული მომენტისთვის ვინც უკეთ იქნება მზად, ნაკრებშიც მან უნდა ითამაშოს — ასეთი პრინციპი უნდა იყოს და არანაირი კონფლიქტი არ მოხდება. ახლა მე საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ. უნგრეთთან ძნელი თამაში გველის, მაგრამ უნდა მოვიგოთ. ყველანი მხოლოდ მოგებისთვის ვართ განწყობილნი.

**დავით თაგვართქილაძე**



ნაკრების საწვრთნელი დებიუტი „ლოკომოტივზე“: ლევან ცქიტიშვილი, ალექსანდრე იაშვილი და ზურაბ ხიზანიშვილი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 31 აგვისტო

საქართველო — უნგრეთი

თბილისი. ეროვნული. 20.00. ტევადობა 76 000

# თბილისი — რუსთავი — თბილისი

## ახალგაზრდული ნაკრები ნაცნობი გზით დადის



ვახტანგ კოპალეიშვილი

**გუშინ** სასტუმრო „მონოპოლში“ ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა ვახტანგ კოპალეიშვილმა თავისი სამწყსო შეკრიბა. მწვრთნელ-ფეხბურთელები 5 სექტემბრამდე საბურთალოზე, კეთილმოწყობილ სასტუმროში იცხოვრებენ და უნგრეთ-ლიტვის დასახვედრად რუსთავსა და თბილისში მოემზადებიან.

შეკრება სამშაბათს, საღამოს ხუთ საათზე დაიწყო. ნაკრებში გამოძახებულმა ფეხბურთელებმა თითო-ოროლად იწყეს შეგროვება და ექვსის ნახევრისთვის ძირითადი ბირთვის უმეტესი ნაწილი უკვე მწვრთნელთა განკარგულებაში იყო. ლეგიონერთაგან ბელგიაში მოთამაშე ლაშა ჯაკობია და გერმანული „კარლსრუეს“ წევრი ირაკლი სამხარაძეღა იგვიანებდნენ. მწვრთნელთა გასაკვირად, არც სკონტოელი ლევან კორღალიძე ჩანდა, არადა, მეორე რიგელი გივი კვარაცხელია დროულად ჩამოსულიყო.

დაბინავებამ და მოთამაშეებთან გასაუბრებამ ნახევარ საათზე მეტი წაიღო. ვარჯიშის დრო ახლოვდებოდა, როცა სასტუმროს ახალგაზრდული გუნდის აწ უკვე ყოფილი კაპიტანი, ეროვნულში გამოძახებული მოსკოვის ტორპედოელი ელიკ საჯაია მოადგა. სტუმარი ვარ, თქვა კაპიტანყოფილმა. მწვრთნელები და თანაგუნდელები მოიკითხა. ნაკრების ვეტერინარ წევრებს „დინამოსთან“ გამარჯვება მიულოცა და ტაქსით ეროვნული გუნდის ადგილსამყოფელისკენ გასწია. წასვლამდე ბიჭებს დაუბარა — კარგად ვარ, მერე განახავთო. ჩვენთან საუბარში „ტორპედოს“ თავკაცი ვიტალი შევჩენკო აქო, ქართველების მოყვარე კაციაო. პირობები ნორმალური, ვარჯიშები საინტერესო — მოკლედ, საჯაიას ეტყობოდა, არჩევანით კმაყოფილი იყო.

ჩვენებური ტორპედოელები — ვალერი აბრამიძე და მალხაზ ასათიანი კარგ ხასიათზე არიან. ეროვნულ ჩემპიონატში მათი გუნდი ხომ წაუქცეველია. უხასიათობას ვერც ვიტელებს, მირზა მერლანს, ჯაბა მუჯირს, გიორგი ადამიასა და დავით ზაზაშვილს შეატყობდით. აი, დინამოელები — სვანაძე, ამისულაშვილი და ბობოხიძე კი ჩაფიქრებულნი ჩანდნენ.

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ვლადიმერ კაკაშვილი უეფას გუშინდელი გადაწყვეტილებით იყო აღშფოთებული. მსაჯის შეცდომის გამო გუნდს რატომ ერჩიანო, თუმც იმაშიც დარწმუნებულია, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, სიომინი და კომპანია ავსტრიულ „ტიროლს“ მეორედაც დააჩოქებსო.

ფიურტელი გიორგი დეკანოსიძის საწუხარი გუნდში არეული ვითარება გახლავთ. მწვრთნელი მოხსნეს, ახალი არ დაუნიშნავთო.

სასტუმროსთან ავტობუსი ჩამოდგა და ორ წუთში ახალგაზრდული ნაკრები ნაცნობ გზას დაადგა. გუშინ საღამოს რუსთავის „ფოლადზე“ ვარჯიშეს კოპალას ბიჭებმა. იგივე განმეორდება დღესაც. ხვალ „ეროვნულზე“ გაირჯებიან ჩვენი ახალგაზრდები, ხოლო ზეგ, საღამოს რვა საათზე უნგრელ თანატოლებთან თამაშია.

ვახტანგ კოპალეიშვილის განკარგულებაში ეს მოთამაშეები არიან:

*მეკარეები: მირზა მერლანი („ვიტ ჯორჯია“), ზურაბ მამალაძე („დინამო 2“);*

*მცველები: ვალერი აბრამიძე („ტორპედო“), ჯაბა მუჯირი, დავით ზაზაშვილი (ორივე „ვიტ ჯორჯია“), რამაზ სვანაძე, ალეკო ამისულაშვილი (ორივე „დინამო“), ლაშა სალუქვაძე („ლოკომოტივი“), ვლადიმერ კაკაშვილი („ლოკომოტივი“, რუსეთი);*

*ნახევარმცველები: გიორგი დეკანოსიძე („ფიურტი“, გერმანია), ირაკლი სამხარაძე („კარლსრუე“, გერმანია), გივი კვარაცხელია, ლევან კორღალიძე (ორივე „სკონტო“, ლატვია), მალხაზ ასათიანი („ტორპედო“), გიორგი ადამია („ვიტ ჯორჯია“), ვალერი გაგუა („მერანი“);*

*თავდამსხმელები: ლაშა ჯაკობია („ლიეჟი“, ბელგია), მიხეილ ბობოხიძე („დინამო“).*

მწვრთნელებს სარეზერვოდ შეგულებული ჰყავთ ბათუმელი კახა ქაცარავა, რუსთაველი ზვიად ლაბაძე და ტორპედოელი რომან ახალკაცი. საჭიროების შემთხვევაში მათ დავიხმართო — გვითხრა გუშინ ვახტანგ კოპალეიშვილმა.

**მამუკა ძმანტალიანი**

### ინგლისი

პირველი დივიზიონი. IV ტური

ძრიუ — მილუოლი

მეორე დივიზიონი. IV ტური

ოლდემი 4:2 ნორთჰემპტონი

მესამე დივიზიონი. IV ტური

შრიუსბერი 3:2 იორკი

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი. VI ტური

სენტ ეტიენი — აიაჩო

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ჯერ შევხედოთ, მერე განვსაჯოთ

## ქართველები კენინგსბერგში

**ᲐᲰᲐ, ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ** იტალიასა და ესპანეთშიც დაიწყო. ქართველ გულშემატკივარს იმედი აქვს, რომ წლეულს გიორგი დემეტრაძის „სოსიედადი" გასავარდნთა შორის აღარ იქნება, ხოლო კახა კალაძის „მილანი" სკუდეტოს თუ ვერ მოიგებს, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ოთხეულში მაინც მოხვდება. ვნახოთ, ოცნებას კაცი არ მოუკლავს. ანდა ასე ვთქვათ, იმედი ბოლოს კვდება. რა და როგორ მოხდება, ამას ბურთი, მოედანი და უპირველსად ფეხბურთელების ოსტატობა გამოაჩენს.

მანამდე კი, იტალია-ესპანეთის დებიუტებში ჩვენებურთა გუნდები დიდად ვერაფრით გამოირჩნენ. „მილანი" „ბრეშასთან" პირველი ტაიმის მერე 0:2 აგებდა, თანაც მთავარი იმედი რუი კოშტა დასაწყისშივე მძიმედ დაუშავდათ. პორტუგალიელმა ხელი მოიტეხა და დაახლოებით თვენახევარს ვერ ითამაშებს. ამჯერად „მილანი" გადარჩა. ბროკისა და შევჩენკოს (პენალტით) გოლებით გაათანაბრა. თუმცა, რაიმე ახალი არ უჩვენებია. კალაძე, ვინც მინდორზე 90 წუთს იყო, საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციას ასრულებდა და ჩვენდა გასაკვირად, არგენტინელ შამოტთან ერთად „რაისპორტისგან" ყველაზე დაბალი შეფასება — 4,5 მიიღო. გასაკვირადო ვთქვით და ეს სიტყვა იმიტომ გაგვახსენდა, რომ კახამ წინასასეზონო შეკრება-მატჩებზე ერთობ ნაყოფიერად იმუშავა და სხვებზე ცუდ ფორმაში არ უნდა იყოს. თუმცა ჯერ მხოლოდ პირველი ტური იყო. ეჭვი არაა, უახლოეს ხანში კალაძე „მილანისთვის" ისევ შეუცვლელი მოთამაშე იქნება.

ახლა ესპანეთის შესახებ. ბასკურ დერბიში დემეტრაძის „რეალ სოსიედადმა" ბილბაოს „ატლეტიკთან" 1:3 წააგო. მასპინძლებს თითქოს ცუდად არ უთამაშიათ, მაგრამ უფრო ორგანიზებულმა სტუმრებმა იძალეს. ორივე გუნდს სურდა სეზონი წარმატებით დაეწყო და ერთთავად მეტოქის კარისკენ ეჭირათ თვალი. დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ანგარიში 1:1 გახლდათ, ამ დროს ბილბაოელმა ტიკომ გაიტანა და ორიოდ წუთში ჯონ ტოშაკმა საპასუხო სვლა გააკეთა, ლიტველი ედგარას იანკაუსკასის ნაცვლად მინდორზე გიორგი დემეტრაძე შეუშვა. უელსელ სპეციალისტს, ცხადია, იმედი ჰქონდა, რომ სწრაფი ქართველი მოწინააღმდეგის საჯარიმოსთან ვითარებას გაამწვავებდა. ნაწილობრივ ასეც მოხდა, თუმცა ურსაისის მესამე გოლმა ყველაფერი წყალში ჩაყარა.

გერმანიაში ამ შაბათ-კვირას ბუნდესლიგა არ ყოფილა. იქაურებმა თასის პირველი ეტაპის მატჩები გამართეს და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ერთი შეხედვით იოლ წინაღობას ელიტის ხუთი გუნდი შეეწირა. კარგია, რომ მათ შორის ჩვენებურთა „ფრაიბურგი" და „კიოლნი" არ მოხვდნენ.

„ფრაიბურგმა" „იესილიურტს" 4:2 მოუგო. ერთი გოლი ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა. მის გარდა მთელი მატჩი ჩაატარა ლევან კობიაშვილმა, ხოლო ლევან ცქიტიშვილი შეცვლაზე შევიდა და ბოლო ნახევარ საათს ითამაშა. ბოლოდროინდელი წაფორხილებების მერე ეს მოგება „ფრაიბურგისთვის" განწყობის გამოსაკეთებელი უნდა იყოს. კიდევ ერთმა ჩვენებურმა, ზაზა ზამთარაძემ ფრაიბურგელ მოყვარულთა გუნდში ითამაშა თასის შარშანდელი მფლობელის, „შალკეს" წინააღმდეგ და მხოლოდ 0:1 დამარცხდა. გელზენკირხენელებმა ბოლოსკენღა შეძლეს ახალგაზრდა ფრაიბურგელთა გატეხვა.

შემდეგ წრეში გავიდა არჩილ არველაძის „კიოლნიც", რომელმაც სტუმრად „ქემნიცს" 5:2 სძლია. თუმც აჩიკოს არ უთამაშია.

რუსეთში ქვეყნის თასის მფლობელმა „ლოკომოტივმა" მახაჩყალის „ანჟის" 4:0 მოუგო და საჩემპიონო შეჯიბრში ისევ კვალში უდგას „სპარტაკს". იური სიომინის მიერ ბოლო დროს ათვალწუნებულმა ზაზა ჯანაშიამ ბოლო 11 წუთს ითამაშა და ერთი საგოლე პასიც გააჯერხა.

მთავარი ამბავი კი რუსეთში ის იყო, რომ „ტორპედოს" შემადგენლობაში ყოფილი ვიტჯორჯიელის, ედიკ საჯაიას დებიუტი შედგა. საჯაიამ ჯერ დუბლშემადგენლობაში ითამაშა ერთი ტაიმი, ძირითადებისაში კი ბოლო 14 წუთს გამოჩნდა არტიომ გაშკინის მაგიერ. კარგი ის არის, რომ საჯაიას „ტორპედო" ლიდერთა ხუთეულშია და ეგებ მედლებსაც გამოჰკრას ხელი. თუ ქართველმა ძირითადში ადგილი დაიმკვიდრა, ასეთი ამბიციური გუნდი მის დაოსტატებას ნამდვილად წაადგება.

ახლა ერთი დივიზიონით დაბლა დავიწიოთ და იქაური ქართველებისაც ვთქვათ. გასავარდნთა შორის გაჩხერილი კალინინგრადის „ბალტიკა", სადაც სამი ქართველი, ძმები ჯელაძეები და თენგიზ სიჭინავა თამაშობენ, თავისას ცდილობს და საქმის გამოსწორება ჯერ კიდევ შეუძლია. აი, ბოლო ტურშიც ჩიტის „ლოკომოტივს" შინ სწორედ ქართველების წყალობით სძლია. მე-14 წუთზე ზვიად ჯელაძემ გაიტანა პენალტი, 47-ზე სიჭინავამ მეორე შეაგდო და თავისიანები გამარჯვებაში დააჯერა. სტუმართა ერთ საპასუხოს გაგრძელება აღარ მოჰყოლია. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კი გიზო ჯელაძე დაასახელეს... მოკლედ, მოუხდათ ჩვენებს ძველი კენიგსბერგის ჰაერი, ზვიად ჯელაძე და სიჭინავა ხომ ამ ქალაქში სულ ახლახან გადაბარგდნენ.

**ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ**



ედიკ საჯაიამ რუსეთში პირველად იბურთავა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ** | | | | | | | | |
| თასის ოცდამეთორმეტედფინალი | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | იესილიურტი 4:2 | 90 | 1 გოლი | 1 | 1 | |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | იესილიურტი 4:2 | 90 | გააფრთხილეს | 1 | 0 | |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | იესილიურტი 4:2 | 31 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | იესილიურტი 4:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი (მოყ) | შ | შალკე 0:1 | 90 | | 1 | 0 | |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | ქემნიცი 5:2 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | შტუტგ. (მოყ) 1:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | |
| **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | იფსვიჩი 1:3 | 0 | | 1 | 0 | 9 |
| | დერბი | ს | ფულემი 0:0 | 63 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხ. | 2 | 0 | 9 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | საუთჰემპტონი 2:0 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | შ | უოტფორდი 1:0 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 4 |
| | ვულვზი | ს | შეფილდი 2:2 | 0 | | 2 | 0 | 6 |
| ლიგის თასის პირველი ეტაპი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | შ | სუინდონი 1:2 | 0 | | 0 | 0 | |
| **ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | რეინჯერსი 0:2 | 88 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 5 | 1 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | რეინჯერსი 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 0 | 6 |
| **ᲘᲢᲐᲚᲘᲐ** | | | | | | | | |
| სერია A | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ბრეშა 2:2 | 90 | | 1 | 0 | 6 |
| **ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ** | | | | | | | | |
| პრიმერადივიზიონი | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | შ | ბილბაო 1:3 | 12 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 16 |
| **ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | ს | ფეიენოორდი 2:1 | 70 | შეცვალეს | 2 | 0 | 8 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | შ | დენ ბოსხი 3:2 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 2 |
| | პსვ ეინდჰოვენი | ს | ტილბურგი 1:3 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 9 |
| **ᲑᲔᲚᲒᲘᲐ** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | ანტვერპენი 2:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 9 |
| მამუკა წერეთელი | ლიერსი | შ | ანტვერპენი 2:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 2 | 0 | 9 |
| **ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | ლუგანო 1:1 | 90 | | 7 | 1 | 1 |
| | ციურიხი | შ | გრასჰოპერი 1:3 | 90 | | 8 | 1 | 2 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | ლუგანო 1:1 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 7 | 7 | 1 |
| | ციურიხი | შ | გრასჰოპერი 1:3 | 90 | | 8 | 7 | 2 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | ს | ქსამაქსი 0:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 7 |
| **ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | რიდი 2:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 2 |
| **ᲠᲣᲡᲔᲗᲘ** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | ანჟი 4:0 | 11 | შეცვლაზე ითამაშა, საგ. პასი | 18 | 2 | 2 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | შ | ანჟი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | როსტსელმაში | შ | სატურნი 1:4 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 12 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | სატურნი 1:4 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 12 |
| კახა მჟავანაძე | სპარტაკი | შ | დინამო 2:1 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 1 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | შ | დინამო 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | სოკოლი | შ | ტორპედო 0:2 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | სოკოლი 2:0 | 14 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 5 |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | ბალტიკა | შ | ჩიტა 2:1 | 90 | 1 გოლი, პენ. | 4 | 1 | 15 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | შ | ჩიტა 2:1 | 88 | შეცვალეს | 16 | 0 | 15 |
| თენგიზ სიჭინავა | ბალტიკა | შ | ჩიტა 2:1 | 90 | 1 გოლი | 4 | 1 | 15 |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | ს | სპარტაკი 0:3 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 17 | 3 | 9 |
| იური გაბისკირია | სპარტაკი | შ | კრისტალი 3:0 | 0 | | 9 | 0 | 3 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | ტომი | შ | ნ. ნოვგოროდი 0:0 | 0 | | 0 | 0 | 10 |
| თასის მეთექვსმეტედფინალი | | | | | | | | |
| კახა მჟავანაძე | სპარტაკი | ს | შინიკი 0:1 | 8 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | ს | შინიკი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | |
| **ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | დნიპრო 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 1 | 12 |
| | ტავრია | ს | მარიუპოლი 0:0 | 90 | | 5 | 1 | 12 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | დნიპრო 0:2 | 90 | | 4 | 2 | 12 |
| | ტავრია | ს | მარიუპოლი 0:0 | 90 | | 5 | 2 | 12 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | შ | დნიპრო 0:2 | 62 | შეცვალეს | 3 | 0 | 12 |
| | ტავრია | ს | მარიუპოლი 0:0 | 78 | შეცვალეს | 4 | 0 | 12 |
| ლევან მიქაძე | არსენალი | შ | ზაკარპატია 0:2 | 35 | შეცვალეს | 6 | 0 | 13 |
| | არსენალი | ს | დინამო 0:2 | 90 | | 7 | 0 | 13 |
| **ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | შლიონსკი 2:2 | 18 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 8 |
| **ᲚᲐᲢᲕᲘᲐ** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | ვალმიერა 3:2 | 90 | გააფრთხილეს | 9 | 1 | 3 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ვალმიერა 3:2 | 0 | | 9 | 1 | 3 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | ვალმიერა 3:2 | 68 | შეცვალეს | 11 | 4 | 3 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | ვალმიერა 3:2 | 90 | | 15 | 3 | 3 |
| გივი კვარაცხელია | სკონტო | ს | ვალმიერა 3:2 | 0 | | 3 | 0 | 3 |
| თამაზ პერტია | რიგა | | ტური გამოტოვა | | | 3 | 0 | 7 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი
**5 ტური**
მიმოხილვა

# ჩვეულებრივი, გასაკვირი, დარდიმანდული...



კოკა მიკუჩაძის (№18) „დინამოს“ შეტევებმა ბესიკ თედორაძის (№23) „ვიტ ჯორჯიას“ ვერა დააკლო

**10 გოლი,** 13 გაფრთხილება და ორი გაძევება, მაინცდამაინც დიდად გამორჩეული არ იყო მეცამეტე ჩემპიონატის მეხუთე ტური. ისე, რაღაა გასაკვირი, ცოცხალმკვდარს ერთ კვირაში ფეხზე რაღა წამოაყენებდა.

სამ-სამი თამაში მოიგეს სტუმრებმა და მასპინძლებმა. ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით უპირატესობა სტუმრებს დარჩათ. აშკარად მესამე ტურს დაემგვანა მეხუთე.

გამოსარჩევი დიდად არაფერი იყოო, ვთქვით, მაგრამ რაღაც მაინც მოხდა და უპირველესად „დინამოს“ წაგებამ გაგვაკვირვა. არა, ათგზის ჩემპიონს „არმაზზე“ ადრეც წაუგია, მაგრამ სულაც არ გვეგონა, ღლევანდელი „ვიტ ჯორჯია“ „დინამოს“ თუ წააქცევდა.

მეორე მოულოდნელობა ტორპედოელი პარამონოვი იყო. ამ ათლეტურმა და მოუხეშავმა ნახევარმცველმა, პროგრესი ღლითი დღე რომ ეტყობა, რუსთაველთა დაცვა თავის დაკრულზე აცეკვა და გრძელი რეიდიც გოლით დაასრულა. მსგავსი გამოხდომა სწორედ პარამონოვისგან იყო მოულოდნელი, თორემ აშვეთიას გოლები არავის უკვირს. საოცარი ის უფრო იქნება, მიხომ რომ ვერ გაიტანოს.

მოულოდნელი იყო „ვიტ ჯორჯიას“ თავკაც ჯანი კარნევალის განცხადებაც — წლეულს მაღალი მიზნებისთვის არ ვიბრძოლებთ, ამას ფულის კეთება სჯობსო. ლევან მელქაძისა და დავით დიღმელაშვილის კვალდაკვალ ალექსანდრე გოგობერიშვილი და ჯაბა მუჯირი წავლენო. გახსნა კარტები კარნევალიმ, არადა, სეზონის დასაწყისში კლუბის თავკაცი გურამ რუხაძე ამბობდა, „ვიტ ჯორჯია“ — მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებსო.

-კიდევ ერთ მწვრთნელს არ შეეპუენ მსაჯები. „ევგრაფი შევარდნაძემ“ თავის ტრიბუნაზე „ლოკომოტივის“ თავკაცისთვისაც გამოძებნა ადგილი. მსაჯმა დავით სანაიამ 61-ე წუთზე კახა ცხადაძეს აუფრიალა წითელი ბარათი. პირველ ტურში კი ოთარ გაბელიამ ლანჩხუთის სტადიონის ტრიბუნაზე სათამაშო დროის უმეტესი ნაწილი გაატარა.

რახან სიტყვა მსაჯებზე ჩამოვარდა, აქვე იმასაც დავძენთ, რომ ზოგან არბიტრთა მოქმედებით სტუმარიც და მასპინძელიც უკმაყოფილო დარჩა, თუმც ისეთი გამონაკლისიც იყო, სტუმარმასპინძელმა მსაჯებს სამადლობელი სიტყვები რომ არ დაამადლა. ზესტაფონში სერგო კვარაცხელიას ბრიგადამ დავალებას პირნათლად გაართვა თავი.

ტურის მიმოხილვა „სიონ“ — „კოლხეთის“ მატჩით დავიწყოთ, სადაც დებიუტი ჰქონდა თემურ მახარაძეს. მახარაძემ ადრე დანერგილ ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და დებიუტი ერთ-ერთი ლიდერის წაქცევით დაიმშვენა. ადრე თელავის „კახეთში“ ახალდანიშნულს „ტორპედო“ დაუმარცხებია, მერე „ვიტ ჯორჯიას“ თავკაცად მოვლენილს „დინამო“ წაუქცევია, ახლა კი „კოლხეთი“ ემსხვერპლა. დასაწყისი რიგიანია, მაგრამ რა იქნება მერე, საკითხავია.

თავად მატჩის დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა მახარაძეს და „სიონს“. ფოთელებმა სათამაშო უპირატესობა მალევე გოლად აქციეს და თამაშიდან გამომდინარე კიდევ უნდა გაეტანათ, თუმც ვერ ივარგეს. „სიონმა“ კი ათწუთიანი აფეთქება იკმარა და ორჯერ დაალონა სტუმარი.

„თემურ სტეფანიაზე“ კენჭი და პლასტიკატის ბოთლი უცხო ხილი როდია, მაგრამ კვირას ბოლნისური სტადიონის გაზონზე შუშის ბოთლმა და დასარტყმელი ინსტრუმენტის თეფშებმაც გაინავარდეს. ამ წაგების შემდეგ ფილიას გუნდმა გათამაშების ცხრილში საფეხურით ქვემოთ ჩაინაცვლა.

რუსთავში ითამაშა ვარლამ კილასონიამ, მაგრამ მარტოკაცი „ტორპედოს“ რაღას დააკლებდა. „გორდა“ თერთმეტი ფეხბურთელით კი თამაშობდა, მაგრამ ფაქტობრივად მეტოქეზე ორით ნაკლები იყო. ეს თავიდან და მერე სულაც სამი მოთამაშე გამოვიდა არაფრის მაქნისი. ვფიქრობ, იასონ ალადაშვილი მიმიხვდება, საით ვუმიზნებ, თუმც ფაქტია, დიდად ვერაფერს შეცვლის.

„ბათუმს“ თავისი დარდიმანდობით კინაღამ ფეხი წაუცდა. კერკეტი კაკალივით კი გაძალიანდა „სამგურალი“, მაგრამ ბოლოს ისიც გატყდა. კიდევ კარგად გაუძლიათ წყალტუბოელებს. იმერეთიდან არიხინდნენ, აჭარას უწიეს, ითამაშეს და უკან წამოლასლასდნენ. მთელი დღე ნამარხულევი და ნამგზავრი გუნდი კიდევ საპატიო ანგარიშით დამარცხებულა.

როცა ფეხბურთელი მშიერია, არაფერს ვამბობ თვეობით ჯამაგირის მოთანგავ ლოდინზე, მაშინ ყველაფერზე ზედმეტია საუბარი. წყალტუბოელთა თავკაცი გია გიგატაძე კი ლაპარაკობდა რაღაც ტაქტიკაზე, მეკარის შეცდომაზე, მცველების უყურადღებობაზე და ვაჩიბერაძემ სტუმართა ერთადერთი საგოლე მომენტი რატომ ვერ გამოიყენა, ან როგორ გამოიყენებდა?!

ზესტაფონში ბევრს ეცადა იქაური „მეტალურგი“, მაგრამ „მერანს“ ვერაფერს გამორჩა. კლასით უკეთესმა იმარჯვა. ზესტაფონელებს მაინც აქვთ იმედი, რომ უიღბლობას თავს დააღწევენ და გამარჯვების დროც მოვა. კაცი იმედით ცოცხლობს...

ლანჩხუთში მეგობრების თუ ძმების თამაშში უფროსმა სძლია უმცროსს. გოგიჩაიშვილის, ანჩაბაძის და ტრავმირებული ლაცაბიძის გარეშე მოთამაშე „ლოკომოტივმა“ გამარჯვება მოახერხა. ორივე გუნდი სახეშეცვლილი იყო და გადასხვაფერებამ თბილისელებს უფრო უშველა. დედაქალაქელ რკინიგზელებს, რა თქმა უნდა, რამდენიმე საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ერთის მეტად ვერ იხეირეს. ისიც ბოლო დროს დაკარგულმა დავით გოდერძიშვილმა გაიტანა.

მცხეთაში „ვიტ ჯორჯიამ“ თავს ზემოთ ახტომა მოახერხა. კი, „დინამო“ ბელარუსიდან ფსიქოლოგიურად განადგურებული დაბრუნდა, მაგრამ შესუსტებული ვიტელების გამარჯვება მაინც ნაკლებ სავარაუდო იყო.

მასპინძლების რამდენიმეწუთიანი ჩავარდნა სტუმრებმა ვერ გამოიყენეს. მერე ვეტერინართა კაპიტანმა ორი მეტოქე მოატყუა და მოულოდნელად ძლიერად გაისროლა. გოგობერიშვილის დარტყმულს „დინამოს“ მეკარემ ოდენ თვალი გააყოლა.

გივი ნოდია პრესკონფერენციაზე მეკარის პრობლემებზე ალაპარაკდა. ეს საკითხი ყველაზე მწვავედ ახლა კი დადგა, მაგრამ არა ერთი და ორი წელიწადია, რაც მზადდება. რამდენი იმედისმომცემი მეკარე წახდა „დინამოში“. მაშინ პრობლემაზე არავის უწუწუნია, მხოლოდ დღეს წაიშინეს თავში ხელი, მეკარე კი ერთ თვეში, არც ერთ წელიწადში არ იზრდება.

დროებით აქ უნდა შევჩერდეთ. ქართული ფეხბურთისგან ჯერჯერობით სახარბიელო არაფერი ისმის. იმედია, ფეხბურთელს მალე ჩვენში არ მოშივდება, მწვრთნელი მწვრთნელობას ისწავლის და მეკარეებიც გაიზრდებიან.

**გამუჟა ქვანტალიანი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 8 - აშვეთია | ტორპედო |
| 5 - გოგოხიძე | დინამო |
| ფიფფიაძე | კოლხეთი |
| 3 - იონანიძე | ტორპედო |
| დავითაშვილი | მერანი |

## სიმბოლური ნაკრები

მიხეილ აშვეთია — ტორპედო
დავით გოდერძიშვილი — ლოკომოტივი
ალეკო გოგობერიშვილი — ვიტ ჯორჯია
გივი დიდავა — ტორპედო
დავით გოლქვაძე — მერანი
შალვა ისიანი — სიონი
ალეკო ამისულაშვილი — დინამო
გოჩა გუჯაბიძე — მერანი
ვალერი აბრამიძე — ტორპედო
შალვა ხუჯაძე — ბათუმი
რევაზ ნაჭყებია — მერანი

გუნდი: ვიტ ჯორჯია
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 5 | 5 | 0 | 0 | 14:0 | 14 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:0 | 9 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 |
| 2 მერანი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 8 | 13 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 |
| 3 ბათუმი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:2 | 4 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 9 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |
| 4 კოლხეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 11:7 | 4 | 9 | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 9 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 5 ლოკომოტივი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:5 | 3 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 |
| 6 ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 1 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 6:6 | 0 | 3 |
| 7 დინამო | 5 | 2 | 1 | 2 | 9:5 | 4 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 7 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 8 სიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:10 | -6 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | -9 | 0 |
| 9 სამგურალი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:10 | -5 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | -9 | 0 |
| 10 გორდა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:11 | -7 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | -5 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 11 გურია | 5 | 0 | 1 | 4 | 3:9 | -6 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 |
| 12 მეტალურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:16 | -14 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:12 | -10 | 0 |



ტორპედოელი ზვიად ქუთათელაძე (№9) რუსთაველ ლაშა ბუკიას გაექცა

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი ეტაპი

13

# 3 ტური

**თბილისი**
25 აგვისტო
18.30 საათი
სინათლე
200 (ტევადობა 3 000)

### მერანი 2 0:2 ცხინვალი

0:1, 0:2 ეჯოშვილი (25, 80)
მერანი 2: გიორბელიძე, ჭითანავა, ადუაშვილი, კვანტალიანი, თოლორდავა, ჭალიაშვილი, ქირია (ჩხაიძე 85), გაბედავა, მინჯია (იაკობიძე 55), სილაგავა, ფურცელაძე (გ. სვანიძე 70)
სათადარიგონი: თოდუა; ტვანია, ქობალია, კინწურაშვილი
ცხინვალი: მდივანი, ხოხობაშვილი, ქობესაშვილი, ელისაშვილი, ტყემალაძე, მოსიაშვილი, მარგიევი, ციცქიშვილი (ოლგესაშვილი 83), ნასუაშვილი (მ. სომხიშვილი 78), ბოჭორაძე (აბულაძე 83), ეჯოშვილი
სათადარიგონი: დ. მაისურაძე; ყაჩლავაშვილი, ჩაჩიბაია, წიქარიძე
გაფრთხილება: მარგიევი (39), ეჯოშვილი (43), ჭალიაშვილი (45), გაბედავა (45), ხოხობაშვილი (75)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ო. ხეცაძე, ა. ნონიკაშვილი; ი. კახიანი (ყველა თბილისი)

**თბილისი**
25 აგვისტო
18.30 საათი
ეროვნული
400 (ტევადობა 70 900)

### დინამო 2 1:2 ლაზიკა

1:0 მუმლაძე (54), 1:1 თოდუა (56), 1:2 ბაკარაძე (58)
დინამო 2: მამალაძე, ბოჭორიშვილი, ექონია, გოგოლაძე, სახურია, ბ. შელია (დავითულიანი 64), ი. გელაშვილი, მგავანაძე (ა. შელია 75), გუშარაშვილი, ა. მუმლაძე, ხონელიძე (გოგუა 50)
სათადარიგონი: გერგედავა, ქარდავა, ებრალიძე, მეგრელიშვილი
ლაზიკა: ბულია, კვიტატიანი, ო. გვაზავა, დიდიძე, მებონია (ლიპარტია 70), ფიფია, ქარჩავა (რეხვიაშვილი 86), კუპრავა, გ. თოდუა, ბაკარაძე (გამსახურდია 89), ჯოჯუა
სათადარიგონი: მ. კვარაცხელია; სუხია, თ. თოდუა, გვიჩია
გაფრთხილება: კვიტატიანი (45), გუშარაშვილი (49), მუმლაძე (60)
მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; ბ. ბრეგვაძე (ორივე ქიათურა), კ. თბილელი (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**ქობულეთი**
25 აგვისტო
18.30 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 000)

### ქობულეთი 1:0 მილანი

1:0 კაკალაძე (72)
შუქურა: გ. გოგუა, ოქროპირიძე, ლომთათიძე (გოგმაჩაძე 46), გეგეშიძე, ჯ. ბერიძე, ანჯაფარიძე, ...ლაკვაძე, ბაცუნაიშვილი (დ. ჯინჭარაძე 69), ...ანდაძე, კვირკველია, კაკალაძე
სათადარიგონი: გაბუნია; ყალიჩავა, ჩახუნაიშვილი, თედორაძე, ჯინჯიხაძე
მილანი: ძამუნაშვილი, ბურჯანაძე (ზ. ჯიქიძე 46), ტარულაშვილი, მ. სამხარაძე, ნინუა, ტოკლიკაშვილი (თ. სამხარაძე 83), მედოევი, გველესიანი, მეტონიძე, ე. გელაშვილი, გოლეთიანი
სათადარიგონი: გრძელიძე; სირაძე, გაბრიჩიძე, აბრამიშვილი, ჩიტაური
გაფრთხილება: მედოევი (16)
მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ე. ნარმანია (ტყვარჩელი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); დ. სანაია (სოხუმი)

**გორი**
25 აგვისტო
18.30 საათი
ცენტრალური
500 (ტევადობა 8 230)

### დილა 4:0 თორი

1:0 ხმალაძე (27), 2:0 ხორგუაშვილი (34), 3:0 ხმალაძე (42), 4:0 გოგინაშვილი (77)
დილა: სოლოლაშვილი (ილურიძე 81), გ. ჩიტაია, ხაჭაპურიძე, გ. ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, მ. ბურნაძე, საყვარელიძე, ფეხუაშვილი, არუთინიანი (გოგინაშვილი 53), ხორგუაშვილი (მძინარიშვილი 59), ა. ხმალაძე
სათადარიგონი: ბ. ჩიტაია, გაგნიძე
თორი: ა. ლაბაძე, სადილიანი, ქოხონელიძე, დ. ლეკიშვილი, სეფერთელაძე, ვ. ფირცხალავა, ბ. მესხი, ტარიელაშვილი, წიქარიშვილი, გოქაძე (ცინაძე 58), მ. ლეკიშვილი (ნამგალაძე 86)
სათადარიგონი: სულავა; გ. მაისურაძე
გაფრთხილება: გოგინაშვილი (86)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. დოლიძე, დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**ხონი**
25 აგვისტო
18.30 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 12 000)

### ხონი 1:0 თსუ

1:0 როგავა (85)
ხონი: ნაცოფია, ჯამბურია, დანელია, ლ. ჯაბუა, ი. ჯაბუა, ფიფია, ჯღარკავა, ჯიქია, ზაზა აიანადი, ხაჟალია, როგავა
სათადარიგონი: ბერაია; ალანია, ტყებუჩავა, ჯღანჯღავა, ახალაია
თსუ: გუგუნავა, დათუნაიშვილი, ქერაშვილი, ლობჟანიძე (ქუხილავა 88), ბერიანიძე, ჯობავა, შოშიაშვილი (სიხარულიძე 75), დ. ჩოხელი (ჯოჯუა 69), ბ. ნოზაძე, მ. მესხი, კუპრეიშვილი
სათადარიგონი: ქრიკიშვილი; ბიჭიაშვილი, ეგაძე
გაფრთხილება: ჩოხელი (38), ჯოჯუა (75)
მსაჯები: მ. მაისურაძე; ვ. ელისაბედაშვილი (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**სამტრედია**
25 აგვისტო
18.30 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 500 (ტევადობა 15 000)

### სამტრედია 1:1 ლოკომოტივი 3

1:0 კეკელიძე (35პ), 1:1 რეხვიაშვილი (89)
სამტრედია: ხარძეიშვილი, ნიკურაძე, ს. გოგია, თოდაძე, მაღლაკელიძე, რუხაძე, კეკელიძე, ფხაკაძე (ბოხუა 70), ჩიგოგიძე (ჯულაყიძე 59), ხურციძე (მეგრელიშვილი 75), ლევან მეგენეიშვილი
სათადარიგონი: თავაძე; ლერი მეგენეიშვილი
ლოკომოტივი 3: ივარდავა, გოგნაძე, მანჩხავა, სანაია (ნ. რეხვიაშვილი 70), ტაბიძე (გავაშელიძე 37), არუდაშვილი, სოსელია (სურმავა 57), ლ. ხურცილავა, ვლასოვი, სიამაშვილი, ბერელიძე
სათადარიგონი: ჯამბურია; შედანია, დემეტრაძე
გაფრთხილება: ხარძეიშვილი (87)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ა. მეშკოვი (თბილისი)

# ცხრილის ციებ-ცხელება

**სამი გუნდი** ლიდერობს პირველი ლიგის გათამაშებას. „დილა", „ლაზიკა" და „ქობულეთი" ჯერჯერობით წინ უდანაკარგოდ მიიწევენ. უეჭველია, წინა სეზონივით გათამაშების ცხრილში ამ ჩემპიონატშიც სიმჭიდროვე იქნება. სამწუხაროდ, პირველ ლიგას სასიკეთო მხოლოდ სატურნირო ინტრიგა აქვს, თორემ თამაშის ხარისხი იმგვარია, სათქმელადაც არ ღირს.

მესამე ტურში გარკვეულწილად მოულოდნელი შედეგებიც დაფიქსირდა. ზედიზედ მეორედ წააგო „დინამო 2"-მა. ამ გუნდს, ზედალიგელი უფროსი ძმის მსგავსად, ვერ მისდის საქმე კარგად. თბილისელები ეროვნულზე „ლაზიკასთან" შერცხვნენ. ამ მატჩში მეორე ტაიმის ხუთ წუთში მოხდა მოსახდენი. „ზუგდიდმა" 54-ე წუთზე დაწინაურებული მეტოქე სამწუთიან მონაკვეთში ორჯერ ჩააგდო, ნოკაუტში თოდუასა და ბაკარაძის გოლებით და სამი ქულა ხელთ გაიყოლა. სტუმარმა გაიმარჯვა ავჭალაშიც. „მერანი 2"-მა ვერაფერი მოუხერხა „ცხინვალს". გამოცდილმა სტუმრებმა ეჯოშვილის დუბლით იხეირეს და წინა ტურში „დილასთან" საშინაო მატჩში დამარცხებით მიღებული წყენა გაიქარვეს.

ამთავითვე ჩანს, პირველ ლიგას აუტსაიდერი ჰყავს „თორის" სახით. ორ თამაშში ნული ქულა, ხუთი გაშვებული და არც ერთი გატანილი გოლი, ასეთია ჯერჯერობით ბორჯომელთა მონაგარი. უსტადიონო და ფედერაციის მოვალე „თორი" ამჯერად „დილას" დაეჩაგრინა. ხორგუაშვილმა და ხმალაძემ (დუბლით) ბორჯომელებს პირველ ტაიმშივე მოუმთავრეს საქმე.

ჯერჯერობით არცთუ დამაჯერებლად თამაშობს თსუ. სტუდენტებმა ხონში დაყარეს ფარ-ხმალი მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე. თითო ქულა შეიმატეს რკინიგზელებმა — სამტრედიაში „ლოკომოტივი 3" ბოლოსწინა წუთზე რეხვიაშვილმა იხსნა მარცხისგან.

მესამე ტურის ცენტრალური მატჩი ქობულეთში გაიმართა „შუქურა" — „მილანის" შეხვედრამ 1500-მდე ქომაგი დააინტერესა. ამბიციური „მილანი" ქულის მოპოვებასთან ახლოს იყო, მაგრამ ბოლო წუთებში ვერ ივარგა — გოლეთიანმა და მედოევმა საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს. მანამდე კაკალაძეს გატანილი ჰქონდა და სამი ქულაც „ქობულეთს" ერგო.

**ბაატა ქვანტალიანი**

# ტიროლი — ლოკომოტივი

## თამაში გრძელდება

## საქმეში დუმა და კაიზერი ჩაერივნენ

**ჩემპიონთა** ლიგაში მოსახვედრად დიდი აურზაური ატყდა. მოსკოვი თუ ინსბრუკი? „ტიროლი" თუ „ლოკომოტივი"? ვინ გაისქელებს ჯიბეს ლიგიდან მიღებული შემოსავლებით? აი, კითხვები, რომლებსაც უახლოეს დღეებში პასუხი უნდა გაეცეს. არც ერთი მხარე დათმობას არ აპირებს, თანაც ორივეს თავ-თავისი არგუმენტი გააჩნია.

საქმე კი ასე იყო: „ტიროლი" — „ლოკომოტივის" საპასუხო მატჩის დროს ჰოლანდიელმა არბიტრმა მარიო ვან დერ ენდემ რუსი პიმენოვი ორჯერ გააფრთხილა. მეორედ ყვითელი ბარათის ხილვისას ფეხბურთელი ავტომატურად გაწითლებას ელოდა, მაგრამ თავგზააბნეულმა მსაჯმა გაფრთხილება მამინოვის სახელზე გააფორმა. თამაში განახლდა და ყველაფერი ჩვეულად მიმდინარეობდა. თუმცა „ლოკომოტივის" მწვრთნელმა იური სიომინმა ეს ფაქტი შეამჩნია და პიმენოვი ორიოდ წუთში შეცვალა. არბიტრის ეს შეცდომა არც ავსტრიელებს გამორჩათ. მატჩის შემდეგ შეიყარნენ ოთახში და შეხვედრის ვიდეოფირი სულ წინ და უკან ატრიალეს. არიქა, ვან დერ ენდემ (მოდი და ამას ენდე) დაგვლუპაო, შემოიკრეს თავში ხელი, კალამი მოიმარჯვეს და ევროპული ფეხბურთის მამებთან საჩივარი აფრინეს, ერთხელ კიდევ უნდა შევერკინოთ რუსებსო. არგუმენტებს აღარ იკითხავთ? მსაჯს პიმენოვი რომ გაეძევებინა, დარჩენილ ოც წუთში ეგებ 3-4 გოლი გაგვეტანაო. მეორე არგუმენტი კი საერთოდ აღფრთოვანების ღირსია, ლიგაში რომ ვერ მოვხვდეთ ძალიან დიდ ზარალში ვარდებითო, ფული ხელიდან გვისხლტებაო. ასე იყო თუ ისე, უეფას სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე ფურცლები აშრიალეს, საჩივარს გადახედეს, შემდეგ ვილაცამ ცხვირზე სათვალე გაისწორა, ფანჯარაში გაიხედა, შემობრუნდა და განაცხადა — ჩემი აზრით, უნდა გადათამაშდესო. თქვეს და დაამტკიცეს კიდეც. თუმცა არც ისე სასტიკნი აღმოჩნდნენ ზემოხსენებული კომიტეტის წევრები, შანსი რუსებსაც დაუტოვეს, შეგიძლიათ, გაასაჩივროთო.

რაო? გადათამაშებაო? აფეთქდა მოსკოვი. საქმეში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე, გენადი სელეზნიოვიც ჩაერია და საჩივარს რუსებმა აპელაცია დააჯახეს. რა არგუმენტები გააჩნიათ მათ? პირველი, რომ ჩვენი აზრის გაუთვალისწინებლად საჩივარი რატომ განიხილეთო. მეორე, გაგვაგებინეთ, ჩვენი ბრალეულობა რაში მდგომარეობსო. უეფას სადისციპლინო კოდექსის არც ერთი მუხლი არ დაგვირღვევია და არც ჩემპიონთა ლიგის რეგლამენტიო. სელეზნიოვმა რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვს სთხოვა, წერილი შეედგინათ, რომლის ასლებიც იოზეფ ბლატერს, ლენარტ იუჰანსონს და გერჰარდ აიგნერს დაეგზავნა. კოლოსკოვმა ამ წერილში აღნიშნა, რომ სადისციპლინო კომიტეტმა თავისი გადაწყვეტილებით ჩემპიონთა ლიგის რეგლამენტი უხეშად დაარღვია. რეგლამენტში კი სიტყვა-სიტყვით და არაორაზროვნად სწერია: „მსაჯთა გადაწყვეტილებების განსახილველად პროტესტები არ მიიღება". რუსეთის ფეხბურთის თავკაცმა ბრძანა, რომ თეორიულად უმცირესობაში დარჩენილ „ლოკომოტივსაც" შეეძლო, გოლი არ გაეშვა, ან პირიქით, იქით გაეტანა კიდევ, ხოლო არგუმენტი ფინანსური ზარალის თაობაზე საერთოდ აბსურდულად მიაჩნია.


რუსლან პიმენოვი

აქვე კოლოსკოვი კიდევ ერთ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს: „გულწრფელად გეტყვით, არ მჯერა, რომ ჩვენს მოთხოვნებს არგადათამაშების თაობაზე დააკმაყოფილებენ. ამაში დაინტერესებულნი არიან „რეალი", „რომა" და „ანდერლეხტი". მათთვის ხომ ბევრად იოლია ინსბრუკში ჩაფრენა, ვიდრე მოსკოვში. თანაც გულშემატკივარიც უფრო მეტი ჩაჰყვება, ტრანსპორტის ხარჯებიც ნაკლებია და არც ჩვენებურ ყინვაში მოუწევთ თამაში. რაც შეეხება ფრანც ბეკენბაუერს, ვფიქრობ, რომ იგი ამ საქმეში უბრალოა".

როგორც ხედავთ, აქ უკვე ერთი მოულოდნელი და საქვეყნოდ ცნობილი ადამიანის, „კაიზერ ფრანცის" სახელი ამოტივტივდა. რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს მას ამ საქმესთან, ან საიდან მოვიდა ეს ვერსია? მოვუსმინოთ ბეკენბაუერსაც: „არ უარვყოფ, რომ კარგად ვიცნობ „ტიროლის" პრეზიდენტ მარტინ კერშერს. გოლფიც არაერთხელ გვითამაშია ერთად, მაგრამ ბოლო სამი თვის განმავლობაში შევხვედრივარ და ტელეფონითაც არ გვისაუბრია. პარასკევს, 24 აგვისტოს, (როცა მონაკოში „ბაიერნი" „ლივერპულს" ხვდებოდა იმ დღეს „ტიროლის" საჩივარი დააკმაყოფილეს) „ბაიერნს" მონაკოში ჩავყევი, თუმცა იქ უეფას ოფიციალურ პირებთან არანაირი ურთიერთობა არ მქონია. სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილების კომენტირება არ მსურს, რადგან ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის. ვფიცავ, ამ ამბავში სუფთა ვარ.

რაც შეეხება თავად მარტინ კერშერს, იგი აღიარებს, რომ „ლოკომოტივს" მთლად კეთილშობილურად არ მოექცა, თუმც სასწორზე დიდძალი ფული დევს და ასეთ შემთხვევაში მსაჯის შეცდომა ავსტრიელებისთვის ბლღვნად ღირს.

ვარაუდობენ, რომ რუსთა აპელაციას უეფაში პარასკევს განიხილავენ.

**გაგა ხუციშვილი**

# სერგეი პერხუნმა სიკვდილს ვერ აჯობა


სერგეი პერხუნი

**გუშინ,** გამთენიისას, მოსკოვში, ბურდენკოს სახელობის ჰოსპიტალში უკრაინის ეროვნული ნაკრების და მოსკოვის ცსკა-ს 23 წლის მეკარე სერგეი პერხუნი გარდაიცვალა. მთელი რუსული საფეხბურთო საზოგადოება გაოგნებულია. დაზაფრულნი არიან უკრაინელები. დამწუხრებულია დაღესტანიც.

ათი დღის განმავლობაში ებრძოდა სიკვდილს პერხუნი, ყველაფერი 28 აგვისტოს, დილის ექვსის ნახევარზე დამთავრდა, სამწუხაროდ, დამთავრდა...

მახაჩყალა. 18 აგვისტო. რუსეთის ჩემპიონატის 22-ე ტურში „ანჟი" ცსკა-ს მასპინძლობს. მატჩის 75-ე წუთი. მასპინძელმა სტოიკოვიჩმა რამდენიმე არმიელი მოატყუა და გამოზომილი პასით თანაგუნდელი ბუდუნ ბუდუნოვი პერხუნს შეატოვა. მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში მოხდა საბედისწერო შეჯახება. თავდამსხმელიც და ფორვარიც გაზონზე დაეცნენ. ერთი შეხედვით ბუდუნოვის მდგომარეობა უფრო საგანგაშო ჩანდა — ანჟელი გაუნძრევლად იწვა მოედანზე. პერხუნს გრძნობა არ დაუკარგავს, ის კი არა, საკაცეზე გადაჯდომაშიც შეეშველა მედპერსონალს. ნახევარი საათის მერე, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ცსკა-ს მწვრთნელმა პაველ სადირინმა დამსწრე ჟურნალისტებს ეს უთხრა: „ორივე ფეხბურთელი მამაცურად გაისარჯა, მათ ბოლომდე იბრძოლეს, ვშიშობ, ჩვენს მეკარეს ცხვირი აქვს გატეხილი". ამ დროს სადირინმა არ იცოდა, რომ სერგეი კრიტიკულ სიტუაციაში იმყოფებოდა. მაშინ, როდესაც ცსკა-ს თავკაცი ჟურნალისტებთან საუბრობდა, პერხუნს პირველად გაუჩერდა გული. საავადმყოფოში დაღესტნელმა ექიმებმა ფეხბურთელი კლინიკური სიკვდილიდან დააბრუნეს, თუმც უმძიმესი დიაგნოზი დასვეს — ტვინის შეშუპება. ექიმებმა დანანებით განაცხადეს, პაციენტის გადარჩენის შანსი ხუთი პროცენტიაო.

ფეხზე დადგა მთელი დაღესტანი. ექიმთა ჯგუფი მოსკოვიდანაც ჩავიდა მახაჩყალაში. კონსილიუმი კონსილიუმს ენაცვლებოდა, ამასობაში პერხუნს ორჯერ გაუჩერდა გული და მთლიანად ხელოვნურ სუნთქვაზე იმყოფებოდა. 20 აგვისტოს, გამთენიისას, სერგეი მოსკოვში, ბურდენკოს სახელობის ჰოსპიტალში გადაიყვანეს, თუმც ექიმთა ძალისხმევა ამაო გამოდგა. არმიელი მეკარე გუშინ გონსმოუსვლელად გარდაიცვალა.

კეთილშობილი, მეგობრული, საქმეში პირუთვნელი — ასეთად ახასიათებენ სერგეის ყოფილი თანაგუნდელები და მწვრთნელები. უმთავრესი თვისება კი, რითაც ბევრისგან გამოირჩეოდა მოედანზე პერხუნი, თავდადება იყო. უშიშარი მეკარის ამ თვისებას ბევრჯერ გადაურჩენია გუნდი.

პერხუნის თამაშის ხილვის საშუალება ჩვენც გვქონდა ამ ორიოდე წლის წინ. მაშინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები უკრაინისას ხვდებოდა თბილისში. იმ მატჩში სერგეიმ, რომელიც მაშინ მოლდოვურ „შერიფში" თამაშობდა, 67-ე წუთზე ოსტაპენკო შეცვალა და რამდენჯერმე იხსნა თავისი გუნდი გოლისგან.

„ექიმებმა შეუძლებელი შეძლეს, მაგრამ სერგეის სიცოცხლე ვერ იხსნეს. ვარსკვლავი, რომელმაც გაბრწყინება მოასწრო რუსეთში, მოულოდნელად ჩაქრა. ჩვენი მწუხარება ენით გამოუთქმელია. დავკარგეთ ძვირფასი, ახლობელი ადამიანი. მას ბევრი ჰქონდა საკეთებელი" — იკითხება ცსკა-ს ოფიციალურ საინტერნეტო მხარეზე.

ალბათ დაწყევლილია არმიელი მეკარეები — ბოლო ათი წლის განმავლობაში ტრაგიკულმა შემთხვევამ ცსკა-ს ორი მეკარე შეიწირა. 1991 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა უნიჭიერესი მიხეილ ერიომინი, რომელიც სერგეისავით 23 წლის იყო.

პერხუნს დღეს სამოქალაქო პანაშვიდს გადაუხდიან ცსკა-ს სპორტკომპლექსში, შემდეგ კი უკრაინაში გადაასვენებენ და მშობლიურ დნეპროპეტროვსკში დაკრძალავენ.

**ბაატა ქვანტალიანი**



REUTERS

სანდერ ვესტერფელდმა „ლივერპული" დაადალატა

# ბოლტონი მიაჭენებს

## ინგლისი

### პრემიერლიგა. III ტური

### ბოლტონი 2:1 ლივერპული

1:0 რიკეტსი (26), 1:1 ჰესკი (66), 2:1 ჰოლდსუორთი (89)

ბოლტონი: იასკელაინენი, უიტლოუ, ბერგსონი, გარდნერი, ჩარლტონი, ნოლანი (ჯ. დიავარა 82), ბერნესი, ვარჰურსტი, ფრანდსენი (ფარელი 69), ჰანსენი, რიკეტსი (ჰოლდსუორთი 55)

მწვრთნელი: სემ ოლიარდისი

ლივერპული: ვესტერველდი, ანშო, ბაბელი (რიისე 46), ჰიპია, კარაგერი, ჯერარდი, ჰამანი, მაკალისტერი, მერფი, ფაულერი (ჰესკი 63), ოუენი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გაფრთხილება: ჩარლტონი, ჰოლდსუორთი, ფაულერი, ანშო

მსაჯი: გ. პოლი

27 205 მაყურებელი

ერთმა ბობოქარმა თამაშმა და მოულოდნელმა დასასრულმა პრემიერლიგას ახალი ლიდერი გაუჩინა. ბოლტონის „რიბოკის" სტადიონზე იქაურმა „უონდერერსმა" 2:1 მოუგო „ლივერპულს" და სამი თამაშიდან სამი მოგებით ცხრილს სათავეში ჩაუდგა.

შეხვედრის ბედი 89-ე წუთზე გადაწყვიტა მასპინძელთა შემცვლელის, დინ ჰოლდსუორთის მიერ 25 მეტრიდან დარტყმულმა ბურთმა. ჰოლდსუორთმა მარცხენა ფრთაზე მიიღო ბურთი, ორი მცველი ჩამოიტოვა და ცენტრისკენ შემოჭრილმა დაარტყა. ბურთი იღლიისქვეშ გაუძვრა წაწოლილ ლივერპულელთა მეკარეს, სანდერ ვესტერფელდს და მსაჯ გრემ პოლის წამატებულ ოთხ წუთში გოლი აღარ გასულა.

ორშაბათ საღამოს ვესტერფელდი ისედაც ვერ იყო ხასიათზე: სწორედ იმ დილით მერსისაიდელთა მენეჯერმა ჟერარ ულიემ განაცხადა, „ფეიენოორდისაგან" პოლონელი მეკარე ირჟი დუდეკი უნდა ვიყიდო და კარის დაცვა მივანდოო.

შეხვედრის მარცხიანი დასასრული კი „ლივერპულს" ნაღდად არ დაუმსახურებია. მაიკლ რიკეტსის ადრიან გოლს სტუმრებმა შტურმით უპასუხეს და კიდეც უნდა გაეტანათ. თავდასხმის ცენტრში მოთამაშე რობი ფაულერი ბოლოდროინდელი საკლუბო კონფლიქტის გამო ასევე ვერ იყო ხასიათზე და ყვითელიც დაიმსახურა საჯარიმოში სიმულაციისთვის. მისი შემცვლელი ემილ ჰესკი კი სტუმართა საპასუხო გოლის ავტორი შეიქნა, რაც ნამდვილად არ გამორჩენია ტრიბუნაზე მჯდომ სვენ გორან ერიკსონს. სტივენ ჯერარდს, მაიკლ ოუენსა და დენი მერფის ცდა არ დაუკლიათ. „ბოლტონს" კი უფრო მაშინ დაეწყო შეტევის წყურვილი, როცა მოედანზე ჯიბრილ დიავარა შევიდა.

გამარჯვების გოლის ავტორმა, 32 წლის ძველმა „უიმბლდონელმა" ჰოლდსუორთმა თქვა: „შარშან დიდი სიხარული გვეწვია, საგზური რომ მოვიპოვეთ. მაგრამ პრემიერლიგაში გამარჯვებას არაფერი შეედრება".

ლიგის უსუსტეს გუნდად გამოცხადებული „ბოლტონის" მწვრთნელი სემ ოლიარდისი კი ამბობს: „ვიცი, რომ იღბალიც გვაქვს. მაგრამ ცოტა იღბალიც საჭიროა, როცა ჯიგარი და თამაშის უნარი გაგაჩნია".

„ბიჭები შემეცოდნენ, ძალიან კარგად ითამაშეს. საუცხოო სანახაობა იყო და წაგება არ დაგვიმსახურებია", ხელი ჩაიქნია ულიემ.

„ბოლტონი" კი ლიდერია. ამ გუნდს მეტსახელად „ტროტერსს" ეძახიან, რაც ჩვენ მოჭენავეებად უნდა მოვთარგმნოთ. გუნდი ასე ამართლებდეს მეტსახელს, იშვიათად ნახავთ...

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| ევერტონი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ლიდსი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| არსენალი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:2 | 6 |
| მანჩესტერ იუნ. | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ფულემი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ბლექბერნი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| დერბი ქაუნთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| სანდერლენდი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| იფსვიჩი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| ლივერპული | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ჩარლტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ნიუკასლი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ასტონ ვილა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ტოტენჰემი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ვესტ ჰემი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| საუთჰემპტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| მიდლსბრო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | 0 |
| ლესტერი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:9 | 0 |

## პირველი დივიზიონი

### IV ტური

### შეფილდ იუნ. 2:2 ვულვერჰემპტონი

0:1 რუსელი (29), 1:1 დვაგო (49პ), 2:1 ასაბა (83), 2:2 ლესკოტი (85)

ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ლესკოტი, ბატლერი, ნეილორი, ნიუტონი, დინინგი, კამერონი, სინტონი, პრუდლოკი (ნდა 77), რუსელი

თემურ ქეცბაია განაცხადში ვერ მოხვდა

მწვრთნელი: დეივიდ ჯოუნსი

16 497 მაყურებელი

### ბარნსლი 1:1 როტერჰემი

0:1 რობინსი (16), 1:1 დიერი (79)

### ბირმინგემი 2:1 სტოკპორტი

1:0 გრაინჯერი (2), 2:0 მუნი (21პ), 2:1 კუქი (86პ)

### ბარნლი 2:4 მანჩესტერ სიტი

0:1 გოტერი (17), 1:1 დევისი (25), 1:2 ვანჩოპე (50), 2:2 ბრისკო (52), 2:3, 2:4 გოტერი (62, 86)

### ქოვენთრი 0:0 ნოტინგემი

### ნორვიჩი 2:0 შეფილდ უენსდი

1:0 რობერტსი (37), 2:0 მაკვეიგი (74)

### პორტსმუთი 4:2 გრიმსბი

1:0 ბერჩილი (28), 1:1 ბატერფილდი (50), 2:1 კრუში (63), 2:2 ჯეფრი (73), 3:2 ბერჩილი (78), 4:2 კრუში (79)

### პრესტონი 1:1 უიმბლდონი

0:1 შიპერლი (45), 1:1 კინი (64)

### უოტფორდი 2:1 უოლსოლი

0:1 ლეიტამ (48), 1:1 გალი (69), 2:1 ნილსენი (80)

### ვესტ ბრომვიჩი 1:0 ჯილინგემი

1:0 დიჩიო (34)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ სიტი | 4 | 3 | 0 | 1 | 12:6 | 9 |
| ბრედფორდი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| ბირმინგემი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 9 |
| ბარნლი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:6 | 9 |
| ნორვიჩი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:4 | 9 |
| ვულვზი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 |
| ჯილინგემი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:1 | 7 |
| პორტსმუთი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| გრიმსბი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| კრისტალ პალასი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:7 | 6 |
| უოტფორდი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 |
| ნოტინგემი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| უიმბლდონი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| შეფილდი | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| ქოვენთრი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:3 | 4 |
| უოლსოლი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| ვესტ ბრომვიჩი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| უენსდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ბარნსლი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:9 | 4 |
| მილუოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| პრესტონი | 4 | 0 | 3 | 1 | 4:9 | 3 |
| როტერჰემი | 4 | 0 | 2 | 2 | 6:8 | 2 |
| ქრიუ | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |
| სტოკპორტი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | 0 |

## მეორე დივიზიონი

მე-4 ტური: ბრენტფორდი — კემბრიჯი 2:1; ბრაიტონი — ბლექპული 4:0; ბერი — სუინდონი 0:3; კოლჩესტერი — პორტ ვეილი 2:0; ნოთსი — ჩესტერფილდი 1:1; პიტერბორო — ჰადერსფილდი 1:2; სტოკი — ტრანმერი 1:2; უიკომბი — ქუინზ პარკი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლჩესტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:5 | 10 |
| ბრენტფორდი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| ბრისტოლი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| ჰადერსფილდი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| ბრაიტონი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:1 | 8 |
| უიკომბი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| რედინგი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| ნოთსი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ქუინზ პარკი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| სტოკი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:3 | 6 |
| პორტ ვეილი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:7 | 6 |
| ოლდემი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| კარდიფი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| სუინდონი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ტრანმერი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ბლექპული | 4 | 1 | 1 | 2 | 3:8 | 4 |
| ბერი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | 3 |
| რექსჰემი | 3 | 0 | 2 | 1 | 6:9 | 2 |
| ჩესტერფილდი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:9 | 2 |
| პიტერბორო | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |
| უიგანი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| ბორნმუთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| კემბრიჯი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:6 | 1 |
| ნორთჰემპტონი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | 0 |

## მესამე დივიზიონი

მე-4 ტური: დარლინგტონი — როვერსი 1:0; ჰალიფაქსი — ოქსფორდი 0:2; ჰალი — კიდერმინსტერი 2:1; ლეიტონი — ჰარტლპული 2:0; მენსფილდი — მაკლსფილდი 4:0; როჩდეილი — ექსეტერი 2:0; რაშდენი — პლიმუთი 2:3; სკანთორპი — ლინკოლნი 1:1; სუონსი — ჩელტენემი 2:2; ტორკი — კარლაილი 2:1; ლუთონი — საუთენდი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როჩდეილი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| ლუთონი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| დარლინგტონი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| როვერსი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| მენსფილდი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 8 |
| ჰალი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| საუთენდი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| იორკი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| შრიუსბერი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| კიდერმინსტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| ლინკოლნი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:3 | 5 |
| ლეიტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| რაშდენი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| სუონსი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| სკანთორპი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:4 | 4 |
| ოქსფორდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:3 | 4 |
| ჰარტლპული | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| პლიმუთი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ჰალიფაქსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| ტორკი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |
| ჩელტენემი | 4 | 0 | 2 | 2 | 6:8 | 2 |
| კარლაილი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| მაკლსფილდი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | 2 |
| ექსეტერი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:10 | 1 |

## პორტუგალია

### III ტური

### მარიტიმუ 1:3 პორტუ

0:1 დეკო სოუზა (2), 0:2 კოშტინია (5), 1:2 ბრუნო (15), 1:3 პენა (52)

### სალგეიროში 1:3 გიმარაეში

0:1 გუგა სანტუში (28), 0:2 ფლამარიონი (49პ), 0:3 გუგა სანტუში (80), 1:3 ჟოაუ პედრუ (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ჟილ ვისენტე | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| პორტუ | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| ბოავიშტა | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| ალვერკა | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| გიმარაეში | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ლეირია | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ბრაგა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:2 | 4 |
| ბეირა მარი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ფერეირა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| სეტუბალი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| ბელენენსეში | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| მარიტიმუ | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ფარენსე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| სპორტინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| სანტა კლარა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ვარზიმი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| სალგეიროში | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

## ლიტვა

26-ე ტური: ეკრანასი — საკალასი 1:1; ვეტრა — ინკარასი 2:0; კაუნასი — გელეჟინისი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუნასი | 26 | 20 | 4 | 2 | 62:7 | 64 |
| ატლანტასი | 24 | 15 | 6 | 3 | 47:21 | 51 |
| ჟალგირისი | 25 | 15 | 6 | 4 | 44:21 | 51 |
| ეკრანასი | 25 | 12 | 7 | 6 | 42:23 | 43 |
| ინკარასი | 26 | 9 | 8 | 9 | 38:31 | 35 |
| ნევეჟისი | 25 | 5 | 9 | 10 | 24:33 | 27 |
| გელეჟინისი | 26 | 7 | 4 | 15 | 29:44 | 25 |
| საკალასი | 26 | 4 | 9 | 13 | 21:48 | 21 |
| ვეტრა | 26 | 5 | 3 | 18 | 21:51 | 18 |
| დაინავა | 25 | 5 | 2 | 18 | 24:73 | 17 |

## ფინეთი

25-ე ტური: ჯაზი — ინტერი 0:1; იოკერიტი — ატლანტისი 3:1; კუოპიო — როვანიემი 0:0; ვაასა — მიუპა 2:1; ჰიკ — ტამპერე 2:0; ლაჰტი — ჰაკა 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 24 | 13 | 8 | 3 | 45:13 | 47 |
| მიუპა | 24 | 13 | 7 | 4 | 36:20 | 46 |
| ტამპერე | 24 | 13 | 5 | 6 | 35:28 | 44 |
| ინტერი | 25 | 12 | 4 | 9 | 36:32 | 40 |
| ჰაკა | 22 | 11 | 5 | 6 | 34:18 | 38 |
| ატლანტისი | 23 | 8 | 8 | 7 | 29:30 | 32 |
| ვაასა | 22 | 8 | 2 | 12 | 26:36 | 26 |
| იოკერიტი | 24 | 7 | 5 | 12 | 26:39 | 26 |
| ლაჰტი | 23 | 6 | 6 | 11 | 27:34 | 24 |
| როვანიემი | 24 | 5 | 7 | 12 | 19:34 | 22 |
| კუოპიო | 23 | 5 | 7 | 11 | 17:32 | 22 |
| ჯაზი | 24 | 4 | 8 | 12 | 21:35 | 20 |

## შვედეთი

მე-19 ტური: ჰეკენი — ელფსბორგი 1:3; ჰალმსტადი — სუნდსვალი 1:1; ნორჩიოპინგი — მალმიო 1:1; ჰელსინგბორგი — იორგრიტე 5:0; გიოტებორგი — ჰამარბი 1:0; ტრელებორგი — აიკ 1:1. იურგორდენი — იორებრო გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 19 | 10 | 5 | 4 | 28:17 | 35 |
| გიოტებორგი | 19 | 9 | 6 | 4 | 31:23 | 33 |
| იურგორდენი | 18 | 9 | 5 | 4 | 22:17 | 32 |
| ჰელსინგბორგი | 19 | 7 | 8 | 4 | 33:23 | 29 |
| მალმიო | 19 | 8 | 4 | 7 | 31:27 | 28 |
| აიკ | 19 | 7 | 7 | 5 | 26:22 | 28 |
| ჰალმსტადი | 19 | 7 | 6 | 6 | 37:24 | 27 |
| იორგრიტე | 19 | 6 | 7 | 6 | 24:27 | 25 |
| ელფსბორგი | 19 | 7 | 4 | 8 | 29:34 | 25 |
| იორებრო | 18 | 5 | 9 | 4 | 33:30 | 24 |
| ნორჩიოპინგი | 19 | 5 | 6 | 8 | 22:32 | 21 |
| ჰეკენი | 19 | 4 | 6 | 9 | 23:29 | 18 |
| სუნდსვალი | 19 | 3 | 6 | 10 | 16:30 | 15 |
| ტრელებორგი | 19 | 3 | 5 | 11 | 22:42 | 14 |

## უნგრეთი

მე-7 ტური: ფერენცვაროში — ჰალადაში 3:1; ზალაეგერსეგი — უიპეშტი 0:3; დიორ ეტო — ვიდეოტონი 0:0; მტკ — შოპრონი 4:0; ვაშაში — დუნაფერი 2:1; დებრეცენი — ჰონვედი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მტკ | 7 | 6 | 0 | 1 | 17:4 | 18 |
| ზალაეგერსეგი | 7 | 5 | 1 | 1 | 11:5 | 16 |
| ფერენცვაროში | 7 | 5 | 0 | 2 | 12:5 | 15 |
| ვიდეოტონი | 7 | 4 | 1 | 2 | 6:8 | 13 |
| ჰალადაში | 7 | 3 | 2 | 2 | 8:7 | 11 |
| დუნაფერი | 7 | 3 | 1 | 3 | 11:8 | 10 |
| უიპეშტი | 7 | 2 | 2 | 3 | 12:11 | 8 |
| შოპრონი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:11 | 7 |
| ჰონვედი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:15 | 7 |
| დებრეცენი | 7 | 1 | 3 | 3 | 5:12 | 6 |
| დიორ ეტო | 7 | 1 | 2 | 4 | 7:11 | 5 |
| ვაშაში | 7 | 1 | 0 | 6 | 8:17 | 3 |

## რუმინეთი

მე-4 ტური: სტიაუა — გლორია 1:1; ბრაშოვი — ბაკეუ 1:0; რაპიდი — სპორტული 1:0; ოცელული — დინამო 2:1; პეტროლული — უნივერსიტატეა 2:0; არჯეში — ნაციონალი 0:4; ჩაჰლაული — ასტრა 1:1; ტიმიშოარა — ფარული 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:3 | 10 |
| დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 11:6 | 7 |
| ნაციონალი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 7 |
| სტიაუა | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| ასტრა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| ოცელული | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ბრაშოვი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| გლორია | 4 | 2 | 1 | 1 | 3:5 | 7 |
| სპორტული | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| უნივერსიტატეა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| პეტროლული | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | 6 |
| ბაკეუ | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| ფარული | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ჩაჰლაული | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| არჯეში | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | 1 |
| ტიმიშოარა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:12 | 0 |

## უკრაინა

მე-8 ტური: შახტარი — მეტალისტი 3:0; დინამო — არსენალი 2:0; პოლიგრაფტექნიკა — კრივბასი 0:0; ვორსკლა — კარპატი 1:3; ზაკარპატია — მეტალურგი (დონეცკი) 1:1; დნიპრო — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 0:0; მეტალურგი (მარიუპოლი) — ტავრია 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 6 | 5 | 1 | 0 | 16:5 | 16 |
| მ. დონეცკი | 8 | 4 | 3 | 1 | 13:3 | 15 |
| კარპატი | 8 | 4 | 3 | 1 | 10:8 | 15 |
| დინამო | 6 | 4 | 2 | 0 | 11:2 | 14 |
| დნიპრო | 7 | 3 | 4 | 0 | 7:2 | 13 |
| მ. მარიუპოლი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:8 | 11 |
| მეტალისტი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:16 | 10 |
| პოლიგრაფტექნიკა | 8 | 2 | 3 | 3 | 5:10 | 9 |
| მ. ზაპოროჟიე | 7 | 2 | 2 | 3 | 6:7 | 8 |
| კრივბასი | 7 | 1 | 3 | 3 | 8:11 | 6 |
| ზაკარპატია | 8 | 1 | 3 | 4 | 10:20 | 6 |
| ტავრია | 5 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 5 |
| არსენალი | 7 | 1 | 0 | 6 | 4:9 | 3 |
| ვორსკლა | 6 | 0 | 1 | 5 | 2:9 | 1 |

## ბელარუსი

### თასის 1/16 ფინალი

დარიდა (მინსკი) (II) — შახტიორი (სოლიგორსკი) 0:1; ტორპედო-კადინო (მოგილიოვი) (II) — ნაფტანი (ნოვოპოლოცკი) 2:3; ზვეზდა (მინსკი) (II) — დნეპრ-ტრანსმაში (მოგილიოვი) 0:1; ბარანოვიჩი (III) — ლოკომოტივი 96 (ვიტებსკი) 1:0; კომუნალნიკი (სლონიმი) (II) — ვედრიჩი (რეჩიცა) 1:3; გრანიტი (მ. კაშევიჩი) (II) — დინამო (ბრესტი) 1:2; სკაფი (მინსკი) (III) — ბატე (ბორისოვი) 0:5; სმორგონი (III) — ტორპედო-მაზი (მინსკი) 0:3; ვერასი (ნესვიჟი) (III) — სლავია (მოზირი) 1:3; ხიმიკი (სვეტლოგორსკი) (II) — ტორპედო (ჟოდინო) (II) 2:1; მინსკი (III) — ლოკომოტივი (მინსკი) (III) 1:2დამ. (1:1)

მინსკის „დინამო", გროდნოს „ნემანი", „მოლოდეჩნო", „გომელი" და ბობრუისკის „ბელშინა" ტურნირში მერვედფინალიდან ჩაებმებიან

## იუგოსლავია

მე-2 ტური: მლადოსტი (აპატინი) — პარტიზანი 1:3; ზემუნი — ობილიჩი 0:0; მლადოსტი (ლუკანი) — რადნიჩკი 3:1; ჰაიდუკი — სუტიესკა 2:1; რუდარი — ზვეზდარა 2:0; ზეტა — ოფკ 0:0; ჟელეზნიკი — ვოივოდინა 1:1; ჩუკარიჩკი — სარტიდი 1:3; ცრვენა ზვეზდა — რადი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სარტიდი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| პარტიზანი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ჰაიდუკი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ცრვენა ზვეზდა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ოფკ | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| მ. ლუკანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| რუდარი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| რადი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სუტიესკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ვოივოდინა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ზეტა | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ზემუნი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ობილიჩი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ჟელეზნიკი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| მ. აპატინი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ზვეზდარა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| რადნიჩკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| ჩუკარიჩკი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |

24 ინფორმაცია საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001
(1წთ / 50 თეთრი)



მარჩელო ლიპი



ექტორ რაულ კუპერი



რობერტო მანჩინი

# კმაყოფილნი და უკმაყოფილონი

## მანჩინი ალიბზე უარს ამბობს

**იტალია** მწვრთნელთა ქვეყანაა და ამიტომ, პირველი ტურის შემდეგ სჯობს მათ მოვუსმინოთ. თავიდან, „იუვენტუსის" თავკაცის, მარჩელო ლიპის მოსაზრებას გავეცნოთ. მისმა გუნდმა ხომ ყველაზე იოლად გაიმარჯვა, შინ „ვენეციას" მოუგო 4:0 და ამ ეტაპზე გაფანტა ეჭვი, თითქოს „ბებერ ქალბატონს" თავდასხმა შეუსუსტდა — ორ-ორი გოლი გაიტანეს დავიდ ტრეზეგემ და ალესანდრო დელ პიერომ.

„სერია A-ს პირველსავე ტურში „ვენეციას" მსგავსი გუნდის შეხვედრა თავისებური სირთულეებით გახლავთ უხვი" — ბრძანა მაესტრომ — „ამ სირთულეთაგან უპირველესი ის გახლავთ, რომ შესაძლოა საჭირო მობილიზება ვერ გამოამჟღავნო და დამარცხდე მეტოქესთან, რომელიც, თავის მხრივ მოედანზე გადის და იცის, რომ დასაკარგი არაფერი აქვს. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი რამ ჩვენ არ შეგვემთხვა. ყველა მოთამაშემ შეასრულა ზუსტად ის, რაც ვთხოვე, ამაზე უკეთეს დასაწყისს ვერ წარმოვიდგენდი. მე ცხრა თვე ველოდი ჩემი გუნდის გატანილ გოლს (მოგეხსენებათ, ლიპი ამ სეზონამდე უმუშევარი იყო) და ძალიან მიხარია, რომ მაყურებელმაც გულთბილად მიიღო. მადლობა მას. უნდა განვაცხადო ისიც, რომ დღეს საუკეთესო ფორმაში კიდევ არ ვართ. ჩემპიონთა ლიგის მატჩებისთვის გაცილებით უკეთ ვიქნებით მომზადებული".

როგორც გუშინდელ მიმოხილვაში აღვნიშნეთ, „იუვენტუსის" შემდეგ, დიდ კლუბთაგან, ყველაზე ეფექტურ შედეგს „ინტერმა" მიაღწია — „პერუჯა" დაამარცხა 4:1, ოღონდ, ტურინელთაგან განსხვავებით მილანელებმა, მესამე და მეოთხე გოლები თამაშის მიწურულს გაიტანეს.

„მთავარი სამი ქულა იყო" — თქვა „შავ-ლურჯების" მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა — „თანაც საკმაოდ ცხელოდა და ასეთ ამინდში, მაღალი ტენიანობის პირობებში, ასე სირბილი ჩვენს კარგ მომზადებაზე მეტყველებს. რაც „ინტერში" ჩამოვედი, საქმეები აშკარად გამოსწორდა, მაგრამ ღრუბლებში ფრენა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემპიონატის პირველი თამაში მოვიგეთ, ცხადია, დაუშვებელია".

საგულისხმოა, რომ კუპერის ოპონენტი, „პერუჯას" თავკაცი სერსე კოზმი, რომელიც ამ შეხვედრაში მსაჯმა სკამიდან გააძევა, განრისხებული გახლდათ და ამტკიცებდა, რომ მისი გუნდი წაგებას არ იმსახურებდა:

„ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს შარშანდელ თამაშს ვუცქერდი. „ინტერის" თამაში აბსოლუტურად არ მომეწონა და ვერც რაიმე განსაკუთრებული ვნახე. მათ გამარჯვება ბოლო წუთებშიღა მოიპოვეს, ისიც მაშინ, როდესაც ჩვენ ცხრა კაცითღა ვიყავით მოედანზე. ამრიგად 1:4 მატყუარა შედეგია. ჩვენ „ინტერზე" ცუდად სულაც არ გვითამაშია".

ფაბიო კაპელოს „რომამ", იტალიის ჩემპიონმა, ვერონაში 1:1 ითამაშა. ცნობისთვის: ამ სტადიონზე რომაელებმა წინა სეზონში 4:1 მოიგეს.

„ვერონელებმა ჩინებულად ითამაშეს. მათ ძალიან ბევრი ირბინეს და თუკი ჩვენ ორს შორის რომელიმე შედეგით უკმაყოფილო უნდა იყოს, ეს მალეზანის გუნდია. ცხადია, ჩვენც გვქონდა ჩვენი წილი საგოლე მომენტები, მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ 90 წუთის განმავლობაში უკეთესად „ვერონამ" ითამაშა. აშკარა გახლდათ, რომ მასპინძლები უკეთეს ფიზიკურ ფორმაში იყვნენ. ეს, ალბათ, სეზონისწინა მომზადების ბრალია. ჩვენი გეგმა ისეთი გახლდათ, რომ პიკს სექტემბრის შუაში უნდა მივაღწიოთ".

ალბერტო მალეზანის კი ერთობ უცნაური მოსაზრება ჰქონდა: „ყველაზე მეტად გული „რომას" გოლის ეპიზოდმა დამწყვიტა და არა თავად გოლმა. ჩემმა მცველებმა ჩათვალეს, რომ თანამსაჯს თამაშგარე უნდა აღენიშნა და არა კუთხური. ამან ისინი გააბრაზა და ბრაზს მეტი ყურადღება დაუთმეს, ვიდრე კუთხურის დროს მეტოქეთა მეურვეობას. ამიტომაც აღმოჩნდა ვალტერ სამუელი ჩვენს საჯარიმოში უმეთვალყურეოდ".

„პიაჩენცასთან" ნათამაშევი 1:1 არც „ლაციოსთვის" იყო დიდი ბედენა.

„რა გითხრათ? ფაქტია, ჩვენ ერთი ქულის მოპოვებას არ ვაპირებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, შედეგი სხვა გამოდგა. ამ შეხვედრას და ამ შედეგს ამიერიდან ველარაფერს მოვუხერხებთ" — თქვა „ლაციოს" მწვრთნელმა დინო ძოფმა — „სიცხემ ჩვენ მეტოქეზე მეტად დაგვთრგუნა, თანაც ერთი ძველი შეცდომა დავუშვით: თამაშის შუაში რაღაც ხნით მოვდუნდით, რაც არ უნდა მომხდარიყო".

გასაკუთრებული კოშმარი კი გაკოტრებულ „ფიორენტინას" ერგო. მას სერია A-ში ისტორიაში პირველად აღზევებულმა „კიევომ" მოუგო 2:0. თან ეს ფლორენციაში მოხდა. ამას „ფიორენტინას" მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ ასეთი კომენტარი გაუკეთა:

„რა ვთქვა? ჩვენ ცუდად კი არა, საერთოდ ფეხბურთი არ გვითამაშია. ასე წასაგებად სტადიონზე მისვლა სულ არ არის საჭირო, შეგიძლია შინაც დამარცხდე. მართალი გითხრათ, ვერც ვხვდები, რა მოხდა. კლუბში შექმნილი პრობლემები ალიბად არ გამოგვადგება".

**ბაკურა ძიძია**





ფაბიო კაპელოს „რომას" ვალტერ სამუელის (შუაში) გოლმა ვერ მოაგებინა

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „ლივერპული" მზადაა, ჰოლანდიურ „ფეიენოორდს" პოლონელი მეკარის, ირჟი დუდეკის სანაცვლოდ 7 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. მერსისაიდელები იმედოვნებენ, რომ ჰოლანდიელებს „მოთაფლავენ" და 31 აგვისტოს ჩემპიონთა ლიგისთვის პოლონელს განაცხადში შეიყვანენ. დუდეკს აქამდე მეორე პრემიერლიგური გუნდი „არსენალიც" ეკურკურებოდა და „ფეიენოორდს" 6 მილიონსაც სთავაზობდა, მაგრამ... ჟერარ ულიე დუდეკს ხუთწლიან კონტრაქტს და „ლივერპულის" ძირითად მეკარეობას სთავაზობს, სანდერ ვესტერფელდი სწორედ შენი დუბლიორი იქნებაო.

**გერმანიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, 33წლის ოლივერ ბირჰოფი ფრანგულ „მონაკოში" გადავიდა. ამით ბირჰოფი გახდა ბოლო ფეხბურთელი, რომელმაც „მილანი" ზაფხულში დატოვა. „კმაყოფილი ვარ, ბოლოს და ბოლოს თამაშის საშუალება მეძლევა. მადლობა დიდიე დეშანს, რომელსაც ჩემი შესაძლებლობების კიდევ სჯერა. ვეცდები, იმედები არ გავუცრუო" — აცხადებს გერმანელი. როგორც „მილანის" საინტერნეტო ვებ-გვერდი იტყობინება, ოლივერ ბირჰოფი მესამე მილანელია, რომელიც სათავადოს გუნდში ითამაშებს. „მონაკოში" ამჟამად „მილანის" ყოფილი ფეხბურთელები — მარკო სიმონე და კრისტიან პანუჩი ირიცხებიან.**

**შოტლანდიის** ჩემპიონმა, გლაზგოს „სელტიკმა" ფრანგული „პარი სენ ჟერმენის" 20 წლის მეკარე მიშელ ერბერტის ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ფრანგი გოლკიპერი შოტლანდიის ჩემპიონთა რიგებში აქამდე იჯარით თამაშობდა და გლაზგოელებს თავიც მოაწონა. „სელტიკის" მეკარეთა მწვრთნელი ტერი გონე: „მიშელი ჩინებული მეკარეა. იგი ბრწყინვალედ იგერიებს ბურთებს და საკუთარ საჯარიმოში შექმნილ სიტუაციებსაც კარგადართმევს თავს. ერბერტი ახალგაზრდულ გუნდთან ივარჯიშებს, თუმცა ძირითად შემადგენლობასაც ნელ-ნელა მივაჩვევთ".

**ინგლისურმა „ფულემმა" ფრანგი თავდამსხმელი სტივ მარლე „ლიონიდან" თითქმის გადაიყვანა. ფრანგები ტრანსფერში 13 მილიონ გირვანქას მიიღებენ. მარლე „ფულემთან" ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს და კვირაში 50 000 გირვანქასაც მიიღებს. მარლე ახლა როჟე ლემერმა საფრანგეთის ნაკრებშიც გამოიძახა ჩილელებთან ამხანაგური მატჩის სათამაშოდ. ლონდონში კი სანაკრებო შეკრებას რომ მოილევს, მერე ჩავა. ამასობაში „ლიონმა" სტივ მარლეს შემცვლელზე დაიწყო ზრუნვა და „სტრასბურს" მიადგა, პეჟუა ლუინდულა მომყიდეო.**

**იტალიურმა** „რომამ" 23 წლის არგენტინელი მცველი ლეონარდო კუფრე შეიძინა. „ხიმნასია ლა პლატას" აწ უკვე ყოფილმა ფეხბურთელმა ფაბიო კაპელოს გუნდთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იტალიის ჩემპიონმა ტრანსფერში 3.3 მილიონი დოლარი გადაიხადა. „სერია A-ში და მით უმეტეს, ისეთი ფეხბურთელების გვერდით თამაში, როგორებიც ბატისტუტა, ბალბო, ტოტი და მონტელა არიან, ძალიან საამაყოა. ბედნიერი ვარ, ვიცი, რომ იმ მცველების სიაში, რომელთა შეძენაც „რომას" სურდა, არ გახლდათ, მაგრამ რახან მიყიდეს, ესე იგი ვჭირდები" — განაცხადა კუფრემ. ლეონარდო კუფრეს „რომაში" თავისი ძმაკაციც დახვდება. 1997 წელს მალაიზიაში გამართული მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მან ვალტერ სამუელთან ერთად მოიგო.

**უკრაინის ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის" მეკარე მაქსიმ ლევიცკის გუშინ სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. ლევიცკი რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში მოსკოვის „დინამოსთან" მატჩში დაშავდა, თუმც როგორც თავად ამბობს, იმ წუთში არაფერი უგრძვნია. ლევიცკი ცუდად უკრაინის ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე, კონჩა-ზასპაში გამხდარა. ამრიგად, უკრაინის ნაკრები ბელარუსებთან პრინციპული მატჩის წინ დონეცკელი იური ვირტის ამარა დარჩა. ვალერი ლობანოვსკის ამ მატჩისთვის ოთხი მეკარის იმედი ბოდა, მაგრამ ალექსანდრ შოვკოვსკიმ ხელი მოიტეხა, ახლა მაქსიმ ლევიცკის ოპერაცია გაუკეთეს, სერგეი პერხუნი კი... გარდაიცვალა.**

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედი" საგონებელშია. რაც „ლაციოს" იაპ სტამი მიჰყიდა, მისი დონის შემცვლელი ჯერჯერობით ვერ იპოვა. ლორან ბლანი, მარსელ დესაი, ჯონ ტერი, კევინ ჰოფლანდი და იური ნიკიფოროვი — როგორც ინგლისური ტაბლოიდები იუწყებიან, ზემოთ ჩამოთვლილი კანდიდატებიდან სერიოზულად მხოლოდ ორზე — ბლანზე და ჰოფლანდზე ფიქრობენ. „პსვ ეინდჰოვენის" ცენტრალური მცველი ჰოფლანდი ზოგიერთმა გაზეთმა უკვე „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელადაც კი მონათლა.

**საუდის არაბეთის იუგოსლაველი მწვრთნელი სლობოდან სანტრაჩი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მიზეზად მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის უხეირო თამაში დასახელდა. აზიელებმა ორ მატჩში მხოლოდ ქულის აღება მოახერხეს და კორეა-იაპონიაში წასვლაც საეჭვოდ გაიხადეს. ნაკრების მწვრთნელად საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციამ ნასერ ალ ჯოხარი დანიშნა.**

**იტალიური** „ბოლონიას" პრეზიდენტმა ჯუზეპე გაცონემ კლუბის დატოვების სურვილი გამოთქვა. იგი ამბობს, რომ „ბოლონიას" ტიფოზთა კრიტიკამ და ცინიკურმა დამოკიდებულებამ დაღალა. ვარაუდობენ, რომ გაცონე თანამდებობას ოფიციალურად ამ კვირის ბოლოს მაშინ დატოვებს, როცა იურიდიულ საკითხებს მოაგვარებს.

**ფრანგულმა „ლანსმა" ორი ფეხბურთელი იჯარით ესპანეთში გაუშვა — 28 წლის არგენტინელი თავდამსხმელი ესტებან ფუერტესი „ტენერიფეში", ხოლო ასევე 28 წლის ბრუნო როდრიგესი მადრიდის „რაიო ვალეკანოში". ფუერტესიც და როდრიგესიც „ლანსის" ძირითადში ველარ ხვდებოდნენ. ესპანურმა კლუბებმა მათი გადაბირების სურვილი გამოამჟღავნეს და ფრანგებიც უმალ დაჰყაბულდნენ.**

**რუსი** ფეხბურთელი დმიტრი ჩერიშევი ესპანეთის სეგუნდადივიზიონის ხიხონის „სპორტინგიდან" ამავე ლიგაში წლეულს დაბრუნებულ „რეალ ბურგოსში" გადავიდა. მოსკოვის „დინამოს" ყოფილმა ფეხბურთელმა ხიხონურ კლუბში ხუთი სეზონი გაატარა. მოლაპარაკება ორ კლუბს შორის ძალიან გაიწელა, მაგრამ საბოლოოდ მოგვარდა. „ბურგოსის" პრეზიდენტი ხოსე მარინ კვინტინო შენაძენით ერთობ კმაყოფილია. „სპორტინგი" კი რუსის გაშვებას მას მერე დათანხმდა, რაც ჩერიშევმა ხელფასის გაზრდა მოითხოვა. „გული მწყდება, ვემშვიდობები ქალაქს და გუნდს, სადაც მთელი ხუთი წელი გავატარე. ჩემი ბრალი არაა, რომ მივდივარ. ყველანაირად ვეცადე, დავრჩენილიყავი, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ ეს არ ისურვა" — განაცხადა გულაჩუყებულმა ჩერიშევმა.

**ესპანური „ხეტაფეს" 26 წლის მცველი სებასტიან გომეს გარიდო მშობლიურ ქალაქ კასტილიონში გუშინწინ მადრიდის ყოფილმა პოლიციელმა მოკლა. ფეხბურთელი ღამით ზღვის ნაპირზე სეირნობდა, ბოროტმოქმედი სწორედ იქ დახვდა მსხვერპლს და ახლო მანძილიდან სამი გასროლით გამოასალმა სიცოცხლეს. მკვლელობის მოტივი უცნობია. კასტელიონის პოლიციის ცნობით, მათი დამნაშავე „კოლეგა" სამართალდამცავებს თავად ჩაბარდა.**

# ქუჩაში გაგდებული რომში აღმოჩნდა

## სტამს ლაციოში მანჩესტერული იღბალი მიაქვს

*ჰოლანდიელი ცენტრალური მცველი იაპ სტამი სამი სეზონი შეძლებისდაგვარად ერთგულად ემსახურა „მანჩესტერ იუნაიტედს". რაც მოსაგები იყო, მოიგო და „ოლდ ტრეფორდიდან" წასვლას არ აპირებდა – ექვსი თვის წინ გუნდთან ახალი ხუთწლიანი კონტრაქტიც გააფორმა და კარიერის დასრულებასაც მანჩესტერში გეგმავდა. თავის დროზე მსოფლიოს უძვირესი მცველი „მანჩესტერ იუნაიტედმა" დროის სარეკორდოდ მცირე მონაკვეთში რომის „ლაციოს" გადაულოცა. ჰოლანდიელმა გაკვირვებაც ვერ მოასწრო, ისე აღმოჩნდა პრემიერლიგიდან სერია A-ში.*



სერ ალექს ფერგიუსონი იაპ სტამის წასვლის მიზეზად ფეხბურთელის არასასურველ სპორტულ ფორმას ასახელებს. თუმცა, გარიგების ფინანსურ ხიბლსაც არ უარყოფს. „ოლდ ტრეფორდი" მცველის სანაცვლოდ თექვსმეტი მილიონი გირვანქით გამდიდრდა. ეს დღევანდელი სატრანსფერო ბაზრის მასშტაბებით არც თუ ისე ბევრია და სულ რაღაც სამი მილიონი გირვანქით აღემატება იმ თანხას, რაც „მანჩესტერ იუნაიტედმა" სტამის სანაცვლოდ სამი წლის წინ „ეინდჰოვენს" გადაუხადა.

სერ ალექსი და მანჩესტერელთა თავკაცობა კინკილა სამ მილიონს რომ არ დახარბდება, ყველამ იცის. სტამიც ერთობ ეჭვით უცქერის ფერგიუსონის ამგვარ მიკიბ-მოკიბულს და უეცარ მოკვეთას თავისებურად ხსნის: „ერთადერთი დასკვნა, რაც შემიძლია გავაკეთო, ისაა, რომ გუნდიდან ფერგიუსონის გაგდებული ვარ". მწვრთნელისა და ფეხბურთელის ურთიერთობის გაფუჭების მიზეზი, ჰოლანდიელის თქმით, მისივე ავტობიოგრაფიული ხასიათის წიგნია, სადაც მანჩესტერელთა ჩინოვნიკებზე და თვით ფერგიუსონზე რამდენიმე „ტკბილი" სიტყვა წერია. სტამი სწორედ ამით ხსნის რაც მოხდა. მართლაც სხვაგვარი აზრი ძნელად თუ მოგივა: სტამი იგივე სტამია, რაც სამი წლის წინ იყო, ფერგიუსონი თუ მის საფეხბურთო მონაცემებს იწუნებს, დაუგვიანია, სტამის გაშვება არასასურველი სპორტული ფორმის გამო ადრეც შეიძლებოდა.

ასეა თუ ისე, დღეს სტამი „ლაციოშია". სერ ალექსის მიერ მოკვეთილს რომაელები სიხარულით შეხვდნენ. ალბათ სტამი, მანჩესტერული კოშმარისგან თავს მალე დააღწევს. და თუ რამდენიმე დღის წინ თავჩაქინდრული მხოლოდ იმას ჩიოდა, რომ ვერაფერი გაეგო და თავს ქუჩაში გამოგდებულად თვლიდა, ახლა მომავალი გამარჯვებების იმედზეც მოსულა: „ლაციო" დიდი გუნდია. ეს სიდიდე მისი შემადგენლობისათვის [illegible] კარგად ჩანს. ფიქრობ, „ლაციოს" შეუძლია [illegible] წარმატებული იყოს, როგორც „იუნაიტედი".

იაპ სტამი იმედოვნებს, რომ რომაელთა კაპიტან ალესანდრო ნესტას კარგად გაუგებს და „ლაციოს" დაცვის დასაყრდენიც მათი წყვილი იქნება. აი, მანჩესტერელებს კი სტამის შემცვლელის მოძიების დიდი პრობლემა აქვთ. მათ არჩევანი უმოკლეს დროში უნდა გააკეთონ. ჩემპიონთა ლიგის მონაწილეებს ფეხბურთელთა განაცხადი პარასკევისთვის მზად უნდა ჰქონდეთ. დრო, როგორც ხედავთ, საკმაოდ მცირეა. ცენტრალური მცველის გარეშე დარჩენილ ოლდ ტრეფორდელები მრავალ შესაძლო ვარიანტს განიხილავენ. სერ ალექსი კი ძირითადად სამ ფეხბურთელს უტრიალებს. სტამის ადგილი შესაძლოა ვალენსიელმა რობერტო აიალამ, ანდაც „ინტერის" ფრანგმა მცველმა, ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებულმა ლორან ბლანმა დაიკავონ. მესამე და ყველაზე რეალური კანდიდატი „პსვ ეინდჰოვენის" ახალგაზრდა ფეხბურთელი კევინ ჰოფლანდია.

**გიორგი გამარდაშვილი**

# NANDROLONE

# რა დოპინგი, რის ნანდროლონი...

## დე ბური ცილისმწამებლებს ემუქრება

**ჰოლანდიის** ნაკრების კაპიტანმა ფრანკ დე ბურმა ამასწინათ განცხადება გააკეთა და ყველა ძალიან გააკვირვა. მან სამოქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა და დოპინგთან დაკავშირებულ სკანდალს ახალი გეზი მისცა. გეხსომებათ, ბარსელონელი ამ რამდენიმე ხნის წინ აკრძალული ნივთიერების მოხმარებაში ამხილეს. მას საკმაოდ ხანგრძლივი დისკვალიფიკაციაც ემუქრებოდა, მაგრამ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ძიებისას დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებები გაითვალისწინა და ფეხბურთელს მხოლოდ ორთვენახევრიანი სასჯელი აკმარა. ფრანკ დე ბურს მადლობის მეტი რაღა ეთქმოდა. მას მხოლოდ რამდენიმე ოფიციალური მატჩის გამოტოვება უწევს. ეს მაშინ, როდესაც ასევე ნანდროლონის მოხმარებისთვის „იუვენტუსისა" და ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველ ედგარ დავიდსს, მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია ერთი დღითაც კი არ შეუმცირეს.

ჰოლანდიის ნაკრების კაპიტანმა საფრთხის თავიდან აშორების შემდეგ ეს მცირედი სასჯელიც იუკადრისა და ახლა ნანდროლონის მომხმარებლის სამარცხვინო იმიჯის ჩამოშორებას ცდილობს. მავანთა აზრით, დე ბურს მარტო კაცური სახელის დაბრუნების სურვილი როდი ამოძრავებს. თუ ფრანკმა სასამართლო პროცესი მოიგო, მაშინ ცილისმწამებლები გვარიანი თანხით შეითხელებენ ჯიბეს და ფეხბურთელისთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებაც მოუწევთ.

საქმეს შვეიცარულ ნიონში, უეფას შტაბბინის მახლობლად, ერთ-ერთ მუნიციპალურ სასამართლოში გაარჩევენ. პირველი მოსმენის თარიღი ჯერ ცნობილი არაა. სამაგიეროდ, ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელ ლუის ვან გაალს ყველაფერი გარკვეული აქვს. მას ორივე ნანდროლონისტი — კაპიტანი დე ბური და ნახევარმცველი დავიდსი შაბათს, ირლანდიის წინააღმდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის გამოძახებული ჰყავს. ფრანკ დე ბურის დისკვალიფიკაციის ვადა უკვე თითქმის ამოწურულია. დავიდსის საქმე კი ჯერ გაურკვეველია. სათვალიანი ჯერ კიდევ იბრძვის დოპინგთან მისი კავშირის უარყოფისთვის. ვან გაალსაც, ალბათ, სჯერა, რომ სიმართლე გაირკვევა და დავიდსსაც, კაპიტნის მსგავსად, შეიწყალებენ. თუმცა მწვრთნელი გადაწყვეტილებას სხვაგვარადაც გვიხსნის: „მაშინაც კი, თუ დავიდსი ვერ შესძლებს მოედანზე გასვლას, იგი გუნდს მაინც დასჭირდება. მისი ვარჯიშებზე ყოფნაც კი ძალიან ბევრს ნიშნავს".

**გიორგი გამარდაშვილი**



ფრანკ დე ბური

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# ევროპა

### I ჯგუფი. 1 სექტემბერი. ბაზელი

## შვეიცარია — იუგოსლავია

**იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობა**

*მეკარეები:* ივიცა კრალი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), საშა სტევანოვიჩი (ოფკ);

*მცველები:* ზორან მირკოვიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მილან ობრადოვიჩი (ლოკომოტივი, რუსეთი), მიროსლავ ჯუკიჩი (ვალენსია, ესპანეთი), გორან ჯოროვიჩი (დეპორტივო, ესპანეთი), მლადენ კრსტაიჩი (ვერდერი, გერმანია), დეიან ოგნიენოვიჩი (პარტიზანი), ბობან დმიტროვიჩი (გრაცერი, ავსტრია), ივან გვოზდენოვიჩი (ცრვენა ზვეზდა);

*ნახევარმცველები:* ივან ტომიჩი (რომა, იტალია), დეიან სტანკოვიჩი (ლაციო, იტალია), ლიუბინკო დრულოვიჩი (ბენფიკა, პორტუგალია), პრედრაგ ჯორჯევიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), საშა ილიჩი (პარტიზანი), ნიკოლა ლაზეტიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), სლავიშა იოკანოვიჩი (ჩელსი, ინგლისი), ვლადიმირ იუგოვიჩი (მონაკო, საფრანგეთი);

*თავდამსხმელები:* პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), სავო მილოშევიჩი (პარმა, იტალია), მატეა კეჟმანი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), დარკო კოვაჩევიჩი (ლაციო, იტალია).

### II ჯგუფი. 1 სექტემბერი. დუბლინი

## ირლანდია — ჰოლანდია

**ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობა**

*მეკარეები:* ედვინ ვან დერ სარი (ფულემი, ინგლისი), სანდერ ვესტერფელდი (ლივერპული, ინგლისი);

*მცველები:* იაპ სტამი (ლაციო, იტალია), არტურ ნუმანი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), მარიო მელხიოტი (ჩელსი, ინგლისი), კევინ ჰოფლანდი (პსვ ეინდჰოვენი), ფრანკ დე ბური (ბარსელონა, ესპანეთი);

*ნახევარმცველები:* ფილიპ კოკუ (ბარსელონა, ესპანეთი), დენი ლანძაატი (ტილბურგი), პოლ ბოსველტი (ფეიენოორდი), ედგარ დავიდსი (იუვენტუსი, იტალია), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (არსენალი, ინგლისი), მარკ ვან ბომელი (პსვ ეინდჰოვენი), ბუდევინ ზენდენი (ჩელსი, ინგლისი), მარკ ოვერმარსი (ბარსელონა, ესპანეთი);

*თავდამსხმელები:* პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა, ესპანეთი), რუუდ ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი (ჩელსი, ინგლისი), პიერ ვან ჰოიდონკი (ფეიენოორდი), როი მაკაი (დეპორტივო, ესპანეთი).

### V ჯგუფი. 1 სექტემბერი. მინსკი

## ბელარუსი — უკრაინა

**ბელარუსის ნაკრების შემადგენლობა**

*მეკარეები:* გენადი ტუმილოვიჩი (როსტსელმაში, რუსეთი), ვასილი ხომუტოვსკი (დინამო, რუსეთი);

*მცველები:* ანდრეი ლავრიკი (ლოკომოტივი, რუსეთი), ერიკ იახიმოვიჩი (გაზიანთეფსფორი, თურქეთი), ალექსანდრ ლუხვიჩი (ტორპედო, რუსეთი), სერგეი შტანიუკი (სტოკ სიტი, ინგლისი), სერგეი იასკოვიჩი (ანჟი, რუსეთი), ვლადიმირ შუნეიკო (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ანდრეი ოსტროვსკი (მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი);

*ნახევარმცველები:* სერგეი გურენკო (პარმა, იტალია), ვადიმ სკრიპჩენკო (ურალანი, რუსეთი), ალექსანდრ ხაცკევიჩი, ვალენტინ ბელკევიჩი (ორივე დინამო, უკრაინა), მაქსიმ რომაშჩენკო (გაზიანთეფსფორი, თურქეთი), ალექსანდრ კულჩი (შინიკი, რუსეთი), ანდრეი მილევსკი (შახტიორი), ვიტალი ვოლოდენკოვი (დინამო, მინსკი), იგორ ტარლოვსკი (ალანია, რუსეთი);

*თავდამსხმელები:* რომან ვასილიუკი (სპარტაკი, რუსეთი), ნიკოლაი რინდიუკი (გაზიანთეფსფორი, თურქეთი), პეტერ კაჩურო (დინამო, მინსკი).

**უკრაინის ნაკრების შემადგენლობა**

*მეკარეები:* იური ვირტი (შახტარი), ვიტალი რევა (დინამო), ვალერი ვორობიოვი (ტორპედო, რუსეთი);

*მცველები:* ვლადისლავ ვაშჩუკი, ალექსანდრ გოლოვკო, ანდრეი ნესმაჩნი, სერგეი ფიოდოროვი (ყველა დინამო), ოლეგ ლუჟნი (არსენალი, ინგლისი), დმიტრი პარფიონოვი (სპარტაკი, რუსეთი), სერგეი ზადოროჟნი (დნეპრო);

*ნახევარმცველები:* ანატოლი ტიმოშჩუკი, სერგეი პოპოვი, გენადი ზუბოვი (ყველა შახტარი), ანდრეი გუსინი (დინამო), სერგეი მიზინი (მეტალისტი), ალექსანდრ სპივაკი (ზენიტი, რუსეთი), სერგეი შიშჩენკო (მეტალურგი, დონეცკი);

*თავდამსხმელები:* ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია), სერგეი რებროვი (ტოტენჰემ ჰოთსპური, ინგლისი), ანდრეი ვორობეი (შახტარი), ალექსანდრ მელაშჩენკო, სერგეი სერებრენნიკოვი (ორივე დინამო).

# ამხანაგური მატჩი

### 1 სექტემბერი. სანტიაგო

## ჩილე — საფრანგეთი

**საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობა**

*მეკარეები:* ულრიხ რამე (ბორდო), ლიონელ ლეტიზი (პარი სენ ჟერმენი), გრეგორი კუპე (ლიონი);

*მცველები:* მარსელ დესაი (ჩელსი, ინგლისი), მიკაელ სილვესტრი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ბიქსენტ ლიზარაზუ, ვილი სანიოლი (ორივე ბაიერნი, გერმანია), ფრანკ ლებეფი (მარსელი), ლილიან ტურამი (იუვენტუსი, იტალია);

*ნახევარმცველები:* იოან მიკუ (პარმა, იტალია), პატრიკ ვიეირა (არსენალი, ინგლისი), ემანუელ პეტი (ჩელსი, ინგლისი), რობერ პირესი (არსენალი, ინგლისი), ზინედინ ზიდანი, კლოდ მაკელელე (ორივე რეალი, ესპანეთი);

*თავდამსხმელები:* ტიერი ანრი, სილვენ ვილტორდი (ორივე არსენალი, ინგლისი), დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი, იტალია), სტივ მარლე (ლიონი).

# ბობოლები არავის აფაფხურებენ

## ბრაიანების ოჯახი ორმაგად დამწუხრდა



REUTERS ნიუ იორკიდან

მაიკ ბრაიანს (მარცხნივ) ანდრე აგასისთვის ხელის ჩამორთმევაღა შერჩა

ყველას, ვინც ჩოგანს მარჯვედ იქნევს და არც ამბიცია აკლია, ნიუ იორკში მოუყრია თავი. ამერიკის საქმიან დედაქალაქში ამ ორი კვირის განმავლობაში დიდი საჩოგბურთო ციებცხელების მოწმენი შევიქნებით. ორშაბათიდან უშელავათო და დაძაბულ პაექრობებში გადაეშვნენ საჩოგბურთო სამყაროს გიგანტები და ისეთებიც, რომელთაც დიდი წარმატებები ჯერ არ უგემიათ. ახლა მათ ერთმანეთში უნდა გაარკვიონ, ვინ იმსახურებს აშშ-ს ღია პირველობის ჩემპიონის გვირგვინს. მოგების მსურველი, იცოცხლეთ, ბევრია.

ერთი სიტყვით, ნიუ იორკის კოსმოპოლიტური სივრცე დღეს ჩოგბურთითაა გაჟღენთილი. US OPEN-ის სიმბოლიკითაა აჭრელებული მაღაზიათა დახლები, მანჰეტენის ფეშენებელურ სასტუმროთა მისალებები, ავტობუსები...

წლის ბოლო დიდი სლემის ტურნირისადმი ინტერესი მართლაც გრანდიოზულია, ისევე, როგორც ამ შეჯიბრის ყოფილი ჩემპიონების მიმართ.

ასპარეზობის პირველ დღეს მეორე წრეში გასვლა არ გაჭირვებია ჩემპიონატის ყოფილ რვა გამარჯვებულს. მესამე ნომრად განთესილმა რუსმა მარატ საფინმა შთამბეჭდავად აიღო სტარტი და ტიტულის შესანარჩუნებლად ერთი ნაბიჯი გადადგა, თუმც მატჩის დაწყებას 95 წუთი ელოდა, რადგან ნიუ იორკის თავზე ცა მოიქუფრა და წვიმამ დასცხო. „ადრინდელთან შედარებით ახლა თავს მშვენივრად ვგრძნობ" — ფრანგი სებასტიან დე შონაკის 6:4, 6:2, 6:2 დამარცხების შემდეგ თავდაჯერებული ჩანდა შარშანდელი „ოუფენის" ჩემპიონი. რწმენა კი საფინს მას შემდეგ დაუბრუნდა, რაც ტრავმა მოიშუშა:

„დღემდე ეს იმდენად ავადმოსაგონარი წელიწადი იყო, რომ მისი გახსენებაც არ მსურს. მოგეხსენებათ, ტრავმირებული გახლდით, ამასთან არაერთი ჩოგნის შეცვლა მომიხდა, თავში კი იმდენი რამ მიტრიალებდა, ნორმალურად თამაშიც არ შემეძლო. მერე თავდაჯერებულობაც სადღაც გაქრა. თებერვალში მიღებული ტრავმის შემდეგ ახლა თავს უკეთ ვგრძნობ.

არადა, სულ რაღაც მემართება. ახლა, სეზონის დასასრულს, ვცდილობ, რაიმე წარმატებას მივაღწიო. იმის ფონზე, რაც აქამდე გადამხდა, საოცრება იქნება, თუ აქ კიდევ გავიმარჯვებ. ერთი რამ ფაქტია, მე აქ ვარ და ვცდილობ, წარმატებას მივაღწიო. ყველაფერი შესაძლებელია" — ენად გაიკრიფა 21 წლის საფინი.

საფინისგან განსხვავებით, პირველი წრის მატჩი მწარედ დაამახსოვრდება ბრაიანების ოჯახს. ტყუპები ბობ და მაიკ ბრაიანები აშშ-ს ღია პირველობის ორ-ორგზის გამარჯვებულების — შესაბამისად პატრიკ რაფტერისა და ანდრე აგასის იოლი ლუკმა გახდნენ. მათ რბევას სათავე მეექვსე ნომრად განთესილმა ავსტრალიელმა დაუდო.

რაფტერმა როგორც იქნა, 1998 წლის ფინალის შემდეგ პირველად გადალახა ამერიკის ღია ჩემპიონატის პირველი წრე. იგი ბოლო ორი წლის განმავლობაში ხომ თავიდანვე ეთიშებოდა ასპარეზობას. 28 წლის ოზმა ვარსკვლავმა მასპინძელ ბობ ბრაიანს ოცნებები სამომავლოდ გადაუდო. მართალია, პირველ სეტში ამ უკანასკნელმა ცოტა ანერვიულა რაფტერი, როდესაც საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, მაგრამ დანარჩენ ორ სეტში ეს აღარ განმეორებულა — 7:6(7:3), 6:3, 7:5. თუ ბობმა ასე თუ ისე რაღაც წინააღმდეგობა გაუწია რაფტერს, მის ტყუპისცალ მაიკს გაფაფხურების საშუალებაც კი არ მისცეს. მეორე ნომრად განთესილი აგასი 75 წუთში იოლად გაუსწორდა თანამემამულეს — 6:4, 6:1, 6:0.

ქალ ჩემპიონთა შორის პირველი წრის გადალახვა არ გასჭირვებია პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს. შვეიცარიელს სულ რაღაც 46 წუთი დასჭირდა, რათა იანკ თანატოლს, 336-ე ჩოგან ლორა გრენვილს გასწორებოდა.

ავსტრალიელ ნიკოლ პრატს მალევე სძლია ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებულმა მონიკა სელეშმა. მეშვიდე ნომრად განთესილმა ამერიკელმა სწრაფად აიღო სტარტი და წარმატებამაც არ დააყოვნა. იგი მთელ შეხვედრას აკონტროლებდა და ოზ მეტოქეს არანაირ შანსს არ აძლევდა, თავისი შეცდომები გამოესწორებინა. 1991 და 1992 წლების გამარჯვებულს მეორე წრეში გასასვლელად 58 წუთი დასჭირდა.

ჰინგისისა და სელეშისგან განსხვავებით, პირველი სეტის შემყურე საკმაო სანერვიულო ჰქონდა 1999 წლის ჩემპიონ სერენა უილიამსს. 95-ე ჩოგანმა, გერმანელმა ანკა ბარნამ საწყის სეტში სიურპრიზი მოუმზადა მეათედ განთესილ მასპინძელს, როდესაც ეს უკანასკნელი 3:0 უკან მოიტოვა. მართალია, შემდეგ სერენამაც გამოიღო ხელი და 4:4 გახადა ანგარიში, მაგრამ ამერიკელს სეტის დათმობა მაინც მოუწია.

„მან მართლაც მტკიცედ და გააზრებულად ითამაშა. იგი ამ მხრივ დასაფასებელია" — თქვა ასპარეზობის შემდეგ უილიამსმა.

გერმანელის სიმტკიცეს გაეოცებინა არტურ ეშის სტადიონზე თავშეყრილი მაყურებელიც, თუმც სერენამ მეორე სეტში სიტუაცია თავის სასარგებლოდ შეაბრუნა და აღარც გაუშვა უპირატესობა ხელიდან — 4:6, 6:1, 6:2.

„არასდროს მომსვლია აზრად, რომ შეიძლებოდა დავმარცხებულიყავი. მართალია, დღეს არც ისე კარგად ვითამაშე, მაგრამ უდავოა, რომ ამ ზაფხულს ბევრად უკეთ ვირჯები" — განაცხადა უმცროსმა უილიამსმა.

**გიგა გურასპიშვილი**



REUTERS ნიუ იორკიდან

მარტინა ჰინგისს მეორე წრეში გასასვლელად 46 წუთი დასჭირდა



REUTERS ნიუ იორკიდან

სერენა უილიამსმა თავიდან ცოტა ინერვიულა

## პირველი წრე

### ვაჟები

მარსელო რიოსი (ჩილე) — მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 3:6, 7:5, 6:2, 6:0; ენდრიუ ილი (ავსტრალია) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 2:6, 6:3, 1:6, 6:3, 6:3; ნიკოლას მასიუ (ჩილე) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 7:6 (15:13), 6:3, 7:6 (7:0); ანდრე აგასი (2, აშშ) — მაიკ ბრაიანი (აშშ) 6:4, 6:1, 6:0; კრის ვუდრაფი (აშშ) — ანტონი დიუპუი (საფრანგეთი) 6:1, 6:3, 3:6, 6:1; ანდრე სა (ბრაზილია) — ედვინ კემპესი (ჰოლანდია) 6:2, 4:6, 6:2, 7:5; ტეილორ დენტი (აშშ) — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:3, 6:4, 6:4; როგი ჯინეპრი (აშშ) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:3, 7:5, 6:4; ანდრეი პაველი (22, რუმინეთი) — ერიკ ტაინო (აშშ) 6:4, 5:7, 6:2, 6:2; ანდრეა გაუდენცი (იტალია) — ალეშანდრე სიმონი (ბრაზილია) 6:4, 7:6 (7:3), 7:6 (7:4); სხენგ შალკენი (24, ჰოლანდია) — მარტინ ლი (დიდი ბრიტანეთი) 3:6, 6:4, 6:4, 3:6, 6:3; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — ხუან ბალსელსი (ესპანეთი) 7:6 (7:3), 6:2, 6:2; ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) — მარტინ დამი (ჩეხეთი) 7:6 (9:7), 6:3, 6:4; მარატ საფინი (3, რუსეთი) — სებასტიან დე შონაკი (საფრანგეთი) 6:4, 6:2, 6:2; ტიმ ჰენმანი (9, დიდი ბრიტანეთი) — იან ვაცეკი (ჩეხეთი) 6:3, 6:2, 6:7 (5:7), 3:6, 6:3; კრისტოფ როშუ (ბელგია) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 3:6, 6:4, 6:3, 6:4; ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 2:6, 6:2, 6:3, 6:4; პატრიკ რაფტერი (6, ავსტრალია) — ბობ ბრაიანი (აშშ) 7:6 (7:3), 6:3, 7:5; ფაბრის სანტორო (21, საფრანგეთი) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 7:5, 6:4, 6:7 (6:8), 7:6 (8:6); ქსავიე მალისი (ბელგია) — კენეტ კარლსენი (დანია) 6:1, 4:6, 3:6, 2:1 ტრავმა; რამონ დელგადო (პარაგვაი) — ხაკობო დიასი (ესპანეთი) 4:6, 6:3, 6:4, 6:3; ნიკოლას ლაპენტი (26, ეკვადორი) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:2, 6:4, 6:4; რაინერ შუტლერი (გერმანია) — ნიკოლას კიფერი (29, გერმანია) 5:7, 6:4, 1:0 ტრავმა; დავიდე სანგვინეტი (იტალია) — პარადორნ სრიჩაპანი (ტაილანდი) 6:4, 6:4, 6:1

### ქალები

ლილია ოსტერლო (აშშ) — მარი-გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) 6:4, 6:3; სერენა უილიამსი (10, აშშ) — ანკა ბარნა (გერმანია) 4:6, 6:1, 6:2; მონიკა სელეში (7, აშშ) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:1, 6:2; მეგან შონესი (12, აშშ) — რიტა გრანდე (იტალია) 3:6, 6:3, 7:6 (7:2); ელენა დოკიჩი (14, იუგოსლავია) — ადრიანა სერა-ძანეტი (იტალია) 6:2, 3:6, 6:3; დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:1, 6:2; ევგენია კულიკოვსკაია (რუსეთი) — ბიანკა ლამადე (გერმანია) 6:4, 7:6 (7:5); ემილი ლუა (საფრანგეთი) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 6:3, 7:5; ევე ბესი (ესპანეთი) — მაგი სერნა (23, ესპანეთი) 6:3, 6:1; ნადია პეტროვა (რუსეთი) — ალექსანდრა ფუზე (საფრანგეთი) 6:4, 6:7 (3:7), 6:2; მარტინა სუხა (სლოვაკეთი) — რობერტა ვინჩი (იტალია) 7:6 (7:4), 6:1; დაია ბედანოვა (ჩეხეთი) — ჯოანეტ კრიუგერი (სამხრეთ აფრიკა) 6:1, 6:2; ბარბარა შვარცი (ავსტრია) — ამანდა კუტცერი (13, სამხრეთ აფრიკა) 1:6, 6:4, 6:4; ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:4, 5:7, 6:4; სილვია ტალაია (ხორვატია) — პაოლა სუარესი (24, არგენტინა) 7:5, 6:2; ანხელეს მონტოლიო (27, ესპანეთი) — გლორია პიციკინი (იტალია) 6:1, 6:7 (2:7), 6:1; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (20, ესპანეთი) — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 6:3, 3:6, 7:6 (7:5); მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) — სოფია გუბაჩი (უნგრეთი) 6:4, 4:6, 6:3; ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) — ანდრეა გლასი (გერმანია) 6:2, 6:3; ჟიუსტინ ენენი (6, ბელგია) — მარისა ირვინი (აშშ) 6:3, 6:3; პატი შნიდერი (შვეიცარია) — როსანა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:4, 6:1; ასა კარლსონი (შვედეთი) — ნურია ლაგოსტერა (ესპანეთი) 6:0, 6:4; ელენა ლიხოვცევა (21, რუსეთი) — ტატიანა პერებინისი (უკრაინა) 4:6, 7:6 (7:4), 6:1; აი სუგიამა (იაპონია) — ეშლი კარგილი (აშშ) 7:6 (7:4), 6:3; ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) 6:0, 6:2; მიროსლავა ვავრინეცი (შვეიცარია) — კრისტინა ტორენს ვალერო (31, ესპანეთი) 2:6, 6:1, 6:1; რეიჩელ მაკქვილანი (ავსტრალია) — ტამარინე ტანასუგარნი (26, ტაილანდი) 6:3, 7:5; ლინა კრასნორუცკაია (რუსეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 7:5, 6:3; ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) — ამბერ ლიუ (აშშ) 6:3, 6:3; ბარბარა რიტნერი (გერმანია) — ემი ფრეზერი (29, აშშ) 6:1, 6:2; ივა მაიოლი (ხორვატია) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:1, 6:1; მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ლორა გრენვილი (აშშ) 6:2, 6:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

Košarka
Slovenska košarkarska revija

*სლოვენიურმა საკალათბურთო ჟურნალმა „კოშარკამ“ გამოაქვეყნა ინტერვიუ საქართველოს ნაკრებისა და ლიუბლიანის „სლოვანის“ მოთამაშეებთან, ვლადიმერ ბოისასა და ნიკოლოზ ცქიტიშვილთან. ამ ინტერვიუს მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ.*

Vladimir Boisa in Nikolos Ckitišvili

Izpod Kavkaza pod Alpe

Tokrat smo si za košarkarsko dvojico, ki bi vam jo radi predstavili, izbrali dva izmed štirih Gruzincev, ki trenutno branijo barve Geoplina Slovana, in sicer Vladimirja Boiso ter Nikolosa Ckitišvilija. Nadebudna košarkarja, oba še vedno

# კავკასიიდან ალპებში

ლიუბლიანის „სლოვანში“ ოთხი ქართველი თამაშობს. ჩვენ ორი მათგანი ამოვარჩიეთ და გავესაუბრეთ. ვლადიმერ ბოისამ და ნიკოლოზ ცქიტიშვილმა ბევრი საინტერესო ამბავი მოგვიყვეს თავიანთ ქვეყანაზე, რომელიც სლოვენიაზე ოთხჯერ დიდია.

1993 წელს მწვრთნელმა ზორან მარტიჩმა ლიუბლიანის „ოლიმპიაში“ ჩამოიყვანა მაშინ უცნობი, დღეს კი ყველასთვის კარგად ნაცნობი ვლადიმერ სტეფანია. ხუთი წლის შემდეგ, 1998 წლის სექტემბერში სლოვენიაში მეორე ქართველი, ვლადიმერ ბოისა ჩამოვიდა. მომდევნო წელს კი ჩვენს ქვეყანაში სათამაშოდ გადმოვიდნენ ცენტრები — ნიკოლოზ ცქიტიშვილი და დავით უგრეხელიძე, აგრეთვე ფორვარდი ირაკლი კეიდია. ამ სეზონის შუაწელში კი ლიუბლიანის „სლოვანის“ მაისურა უკანახაზელმა კოტე ტუღუშმა მოირგო.

ვლადიმერ ბოისამ ეს სეზონი „სლოვანში“ გაატარა, მაგრამ იგი, ალბათ, მალე წავა გუნდიდან. 20 წლის ფორვარდი ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ეკუთვნის და მასთან სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. სავარაუდოდ, ბოისა კარიერას „ოლიმპიაში“ გააგრძელებს. აქამდე იგი „პოსტოინაში“ (ერთი სეზონი) და „სლოვანში“ (ორი სეზონი) თამაშობდა. სლოვანელთა მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა ბოისა კარგი დაცვითი თამაშის გამო აიყვანა.

ამ სეზონში ბოისას მუხლის ტრავმა აწუხებდა, რის გამოც ბევრი მატჩი გამოტოვა. მაშინ, როცა ვლადიმერი ვერ თამაშობდა, მასზე ორი წლით უმცროსი ნიკოლოზ ცქიტიშვილი „სლოვანის“ სასტარტო ხუთეულში დამკვიდრებას ცდილობდა. საქართველოს ნაკრების 210-სანტიმეტრიანი ცენტრი უკვე ორი წელია სლოვანელია და ამ ხნის მანძილზე საკმაოდ მოუმატა თამაშს, სისწრაფეს და ფარზე მუშაობას.

**— სლოვენიაში საკმაო ხანს ხართ. როგორ შეეგუეთ იქაურობას, ენა როგორ აითვისეთ და რა განსხვავებაა საქართველოს და სლოვენიას შორის?**

*ბოისა:* ჩემს სამშობლოსა და სლოვენიას შორის ცხოვრების დონის მხრივ ძალიან დიდი განსხვავებაა. საქართველოში მძიმე სიტუაციაა, ხალხს განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო პრობლემები აწუხებს. რა თქმა უნდა, სლოვენიაში ცხოვრება უფრო იოლია, სხვა თუ არაფერი, აქ ამგვარი პრობლემები არ არის.

სლოვენიური ენა ადვილად ვისწავლე, არაფერი გამჭირვებია. სამაგიეროდ, სლოვენიური სამზარეულო არ მომწონს და ვერც შევეჩვიე.

*ცქიტიშვილი:* ვლადიმერს ყველაფერში ვეთანხმები. იმასღა ვიტყვი, რომ ქართული სამზარეულო სლოვენიურზე გაცილებით გემრიელია. ეს პრობლემა მოგვარებული მაქვს: ლიუბლიანაში ჩემთან ერთად დედაჩემიცაა, რომელიც ქართულ კერძებს არ მაკლებს.

**— დიდი ხანია, ორივე კალათბურთელები ხართ. მანამდე სხვა სპორტზე თუ დადიოდით და, საერთოდ, თქვენს ქვეყანაში სპორტისადმი როგორი დამოკიდებულებაა?**

*ბოისა:* ბავშვობაში ცურვაზე დავდიოდი. 13 წლისამ ერთ-ერთ შეჯიბრებაზე 100-მეტრიან დისტანციაზე პირველი ადგილი დავიკავე. მერე კალათბურთზე მისვლა გადავწყვიტე. ბედს არ ვემდური, ასე რომ მოვიქეცი.

ჩვენს ქვეყანაში ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობა ფეხბურთია. იგი ყველაზე მეტად უყვართ და ყველაზე დიდ ყურადღებას აქცევენ. ბევრი ქართველი ფეხბურთელი უცხოეთში თამაშობს და საკმაოდ კარგადაც.

ახლახან თბილისში ახალი, 40-ათასიანი სტადიონი გაიხსნა. ამბობენ, საქართველოს ნაკრები იქ ითამაშებსო. ფეხბურთის მერე ყველაზე პოპულარულია კალათბურთი, მერე — რაგბი.

*ცქიტიშვილი:* ჩემი სპორტული კარიერა კალათბურთით დაიწყო. მანამდე კი ვცეკვავდი. ექვსი წელიწადი ხალხური ცეკვის ანსამბლში გავატარე.

**— სლოვენიური კალათბურთი მოგწონთ?**

*ბოისა:* შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ნაღდი ვარჯიში პირველად სლოვენიაში ვნახე. განსაკუთრებით „ოლიმპიაში“ ვარჯიში მომწონს. ძალიან კმაყოფილი ვარ „პოსტოინაში“ და „სლოვანში“ გატარებული სეზონებით. „სლოვანის“ დამრიგებელი ტომო მაჰორიჩი და „ოლიმპიას“ მწვრთნელი ზმაგო საგადინი ჩემთვის საჭირო რჩევებს არ იშურებენ. მათი სიტყვები ჩემი, როგორც კალათბურთელად ჩამოყალიბებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია.

*ცქიტიშვილი:* სლოვენიაში თამაშით მეც კმაყოფილი ვარ. ძალიან ბევრი მოთამაშე და მწვრთნელი მეხმარება, რათა უფრო კარგი კალათბურთელი გავხდე. ქართული და სლოვენიური კალათბურთი დიდად განსხვავდება. ჩვენ, ცოტა არ იყოს, ჩამოვრჩით ევროპულ დონეს.

**— სლოვენიის ჩემპიონატის ნახევარფინალში კარგად ეთამაშეთ შარშანდელ ჩემპიონს, ნოვო მესტოს „კრკას“, მაგრამ მაინც წააგეთ. სამაგიეროდ, მესამე ადგილი დაიკავეთ. ამ სეზონით კმაყოფილი ხართ?**

*ბოისა:* შარშანდელ ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავედით, წლეულს კი წინ წავიწიეთ. ნორმალური შედეგია.

*ცქიტიშვილი:* ამ სეზონით უფრო კმაყოფილი ვარ, ვიდრე წინათი. გუნდის თამაშის ხარისხი გაუმჯობესდა. ბევრჯერ ძალიან კარგად ვითამაშეთ. სეზონის ბოლოსკენ უფრო მოვუმატეთ. მწვრთნელ ტომო მაჰორიჩთან მუშაობა ძალიან სასიამოვნოა და, ვიმედოვნებ, მომავალი სეზონისთვის იგი „სლოვანში“ დარჩება.



ვლადიმერ ბოისა და ნიკოლოზ ცქიტიშვილი სლოვენიაში ქოლგასაც შეეჩვივნენ

**— ორივეს მოქმედი კონტრაქტი გაქვთ, რომლის ძალითაც სლოვენიაში რჩებით. მერე სად აპირებთ თამაშს?**

*ბოისა:* „ოლიმპიას“ კიდევ სამი წლით ვეკუთვნი, თუმცა ამ გუნდის რიგებში ოფიციალურად ჯერ არ მითამაშია. იმედი მაქვს, თავდაუზოგავი ვარჯიშის წყალობით „ოლიმპიას“ ძირითად შემადგენლობაში მოვხვდები.

„სლოვანით“ კმაყოფილი ვარ და გუნდის ხელმძღვანელობასაც დიდად ვემადლიერები, მაგრამ უფრო დიდ კლუბში მინდა გადასვლა. ნბა-ს შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ვოცნებობ. სიმართლე გითხრათ, იქ დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი.

*ცქიტიშვილი:* „სლოვანთან“ ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს. მსურს, რომ სლოვენიის ჩემპიონატში წარმატებით ვითამაშოთ და არც ევროთასებზე შევირცხვინოთ თავი. ჩემი ოცნებაა, დაახლოებით ხუთი-ექვსი წლის შემდეგ ნბა-ში ვითამაშო.

**— რა განსხვავებაა ქართულ და სლოვენიურ კალათბურთს შორის როგორც სანაკრებო, ისე საკლუბო დონეზე?**

*ბოისა:* საქართველოს ჩემპიონი ზედიზედ მეორედ გახდა ბათუმის „ბასკო“. ეს გუნდი სლოვენიის ჩემპიონატის ექვსეულში თავისუფლად მოხვდებოდა და კარგად ითამაშებდა. თბილისის სტუ და რუსთავის „აზოტი“ სლოვენიური ლიგიდან არ გავარდებოდნენ.

*ცქიტიშვილი:* კლუბების შესახებ ვერაფერს გეტყვით. საქართველოს ნაკრები ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობს. ჩვენი მეტოქეები ბულგარეთი, ბელარუსი და აზერბაიჯანი არიან. ვთვლი, რომ შესარჩევ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს.

**— დაბოლოს, მოგვიყევით ყველაზე თავშესაქცევი ამბავი, რომელიც სლოვენიაში შეგემთხვათ.**

*ბოისა:* თავშესაქცევისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქოლგის ამბავი საინტერესოა. საქართველოში არაა მიღებული, ახალგაზრდა კაცი, დაახლოებით 20 წლამდე, წვიმის დროს ქოლგით ხელში დადიოდეს. რა ვაჟკაცი ხარ, თუკი წვიმამ არ დაგასველა?! სლოვენიაში ხშირად წვიმს და მრავალჯერ დასველების შემდეგ გადავწყვიტეთ, ქოლგა გვეხმარა.

შემდეგი ამბავი დედაჩემს უკავშირდება. შარშან იგი ლიუბლიანაში მესტუმრა. სანამ ჩამოვიდოდა, წყლის გადასახადი 500 სლოვენიური ტოლარი მქონდა (დაახლოებით 4 ლარი. რედ.). დედა კი საქართველოში ცხოვრობს, სადაც ცხელი კი არა, ხშირად ცივი წყალიც კი არ მოდის ონკანში. ჰოდა, ჩამოვიდა დედა, ნახა რომ წყალი პრობლემა არ არის, ხან სამზარეულოში ტრიალებდა და ხან აბაზანაში. როცა საქართველოში დაბრუნდა, წყლის გადასახადი უკვე 7 ათასი ტოლარი იყო (დაახლოებით 56 ლარი).

**თარგმნა დავით უგრეხელიძემ**

***საქართველოს ნაკრების და ლიუბლიანის „სლოვანის“ მოთამაშემ***



ბოისა ცქიტიშვილის შესახებ: ცქიტა ძალიან ნიჭიერი კალათბურთელია და მისი, როგორც თანაგუნდელის, ძალიან მეიმედება. ამასთანავე, ჩვენ მეგობრები ვართ, ჯერ კიდევ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებიდან მოყოლებული. ვამაყობ, რომ ასეთ კარგ ბიჭთან ახლო ურთიერთობა მაქვს.

ცქიტიშვილი ბოისას შესახებ: ვოვას დიდი ხანია ვიცნობ. ჩვენ მეგობრები ვართ როგორც საკალათბურთო მოედანზე, ისე ცხოვრებაში. იგი ძალიან პერსპექტიული მოთამაშეა და, დარწმუნებული ვარ, ბევრს მიაღწევს.

**Košarkarski slovarček**

| slovenščina | gruzinčina |
|---|---|
| košarka | kalatburti |
| žoga | burti |
| trener | mcvrtneli |
| napad | tavdashma |
| obramba | dacva |
| osebna napaka | džarima |
| met | srola |
| prodor | šesvla |
| akcija | kombinacija |
| ekipa | gundi |

სლოვენიურ-ქართული საკალათბურთო ლექსიკონი

# ლინდროსის საგა დასრულდა

**გაჭიანურებულ** და მომაბეზრებელ დავას, რომელსაც ამერიკელმა ჟურნალისტებმა „ლინდროსის საგა" უწოდეს და 15 თვეს გრძელდებოდა, როგორც იქნა, ბოლო მოეღო. იყო ქიშპი, თავის მართლება, იმედი, გაწბილება და აი, ფილადელფიის მრავალწლიანი ლიდერი, როგორც მოსალოდნელი იყო, რეინჯერსში გადაბარგდა. თვით ბოლო ეტაპიც კი ერთობ გაჭიანურდა. თითქოს ყველაფერი მზად იყო, ჩვენც გაუწყეთ მისი გადასვლის თაობაზე, მაგრამ ამის შემდეგ ჰოკეისტს კიდევ ათ დღეს მოუხდა ლოდინი. ოფიციალურად მხოლოდ გასულ კვირას გამოცხადდა, რომ ერიკი რეინჯერსის საკუთრება გახდა, ხოლო მის ნაცვლად „მფრინავებმა" ფორვარდები იან ჰლავაჩი და პაველ ბრენდლი, აგრეთვე მცველი კიმ იუნსონი შეიძინეს. სამივე ახალგაზრდა და იმედისმომცემი მოთამაშეა.


REUTERS ნიუ იორკიდან

ერიკ ლინდროსი „რეინჯერსის" ფორმით და ახალი თანაგუნდელების, მარკ მესიეს (მარცხნივ) და მაიკ რიხტერის გარემოცვაში

ერიკი ამ სიახლეს აღფრთოვანებით შეხვდა: „მოხარული ვარ, რომ ჩემს ცხოვრებაში რაღაც შეიცვალა. ყოველივე ამას მე რეინჯერსის ელიტაში დაბრუნების ჩინებულ საშუალებად ვთვლი და ძალ-ღონეს არ დავიშურებ ამისათვის" — თქვა მან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ. მანამდე კი ფილადელფიურ „სპექტრუმში" ერთი ფრიად ნიშანდობლივი ცერემონია გაიმართა. ლინდროსმა და მისმა მთავარმა ოპონენტმა ბობ კლარკმა ხელიხალჩაკიდებულებმა „მფრინავთა" უამრავი ქომაგის თვალწინ ყინულს წრე დაარტყეს, ერთად მოისმინეს გულთბილი ოვაციები და ტკბილად და მეგობრულად დაშორდნენ. ასე გამოეთხოვა ერთმანეთს ორი პიროვნება, რომელთა მტრულმა დამოკიდებულებამ 15 თვის განმავლობაში აპოგეას მიაღწია. ახლა ორივე კმაყოფილი უნდა იყოს. ლინდროსს ყინულზე გასვლის საშუალება მიეცა, კლარკმა კი მაქსიმალური კომპენსაცია მიიღო. აი, რას მოიმკის რეინჯერსი, ჯერ არავინ იცის. ამას არც კლუბის გენერალური მენეჯერი გლენ საზერი მალავს: „ვიცით, რომ გარკვეულ რისკზე მივდივართ, რადგან კიდევ ერთი ტვინის შერყევა ერიკისთვის საბედისწერო იქნება, მაგრამ კაცი იმედით ცოცხლობს". ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ ლინდროსს, რომელმაც უკვე მოაწერა ნიუ იორკთან ხელი ოთხწლიან და სავარაუდოდ 38-მილიონიან კონტრაქტს, თავის დროზე გრეცკისა და ლემიეს მემკვიდრედ მიიჩნევდნენ. მთლიანობაში ერიკს თავი არ შეურცხვენია. 1995 წელს სეზონის უძვირფასესი მოთამაშე გახდა, ორი წლის შემდეგ კი გუნდი ფინალში გაიყვანა, მაგრამ ლიგის მშვენებად მაინც ვერ იქცა.

* * *

თუ ერიკ ლინდროსის ტრეიდი რეინჯერსში მოსალოდნელი გახლდათ და ბოლო ორი კვირის განმავლობაში გარდაუვალიც შეიქნა, ბრეტ ჰალის დეტროიტში გადასვლა ბევრისთვის სიურპრიზი გამოდგა. ვინ იფიქრებდა, რომ დომინიკ ჰაშეკისა და ლუკ რობიტაილის შეძენის შემდეგ წითელფრთიანთა ბოსები კვლავ გაიკრავდნენ ჯიბეზე ხელს და კიდევ ერთ ხნიერ ვარსკვლავს დაისაკუთრებდნენ. თავად ჰალი ალბათ მეტს ელოდა, მაგრამ კიდევ 9 მილიონის (ზუსტად ამდენს მიიღებს მოთამაშე ორი წლის განმავლობაში) გაღება ხუმრობა როდია. ასეა თუ ისე, დეტროიტი ძალიან გაძლიერდა და თასის მთავარ მაძიებლად იქცა. ამიტომაც ჰალმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა, ფავორიტის რიგებში გადასვლის გამო. „დიდებულია, რომ კვლავ ძლიერ გუნდში ვარ და ისევ თასისთვის ვიბრძოლებ" — თქვა გახარებულმა ჰოკეისტმა პრესკონფერენციაზე.

ცხადია, 37 წლის ჰალი ძველებურად მრისხანე ვერ იქნება (მას ხომ სეზონში 86 შაიბაც გაუტანია), მაგრამ წინა პირველობაში დაგროვილი 39 გოლი ბევრისმთქმელია. თანაც მარტინ ლაპოინტის წასვლის შემდეგ დეტროიტს მარჯვენა გარემარბების დეფიციტი შეექმნა. საინტერესოა, რომ მოქმედ ჰოკეისტთა საუკეთესო მეგოლეების ხუთეულში ამიერიდან სამი დეტროიტელია. თავად ჰალი 649 გოლი მხოლოდ ორით ჩამორჩება მარკ მესიეს და ერთით მარიო ლემიეს უსწრებს, დანარჩენი ორი დეტროიტელი, სტივ აიზერმანი (645) და ლუკ რობიტაილი (590) შესაბამისად მეოთხე და მეხუთე ადგილებზე არიან. გარდა ამისა ბრეტი 1991 წელს სეზონის უძვირფასესი იყო, სამჯერ ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერიც გახდა და შვიდჯერ „ოლ სტარში" მიიღო მონაწილეობა.

* * *

მარიო ლემიე მომავალ სეზონში საუკეთესო ბომბარდირთა მარაქაში ალბათ ვერ გაერევა. როგორც თავად სუპერმარიომ ამ დღეებში განაცხადა, მას 2001-2002 წლების სეზონში მინიმუმ 17 მატჩის გამოტოვება განუზრახავს, რათა მთავარ და გადამწყვეტ თამაშებს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს. მოგეხსენებათ, მომდევნო სეზონში ნჰლ-ის ვარსკვლავებს და მათ შორის ლემიეს საკუთრივ ლიგის შეჯიბრებასთან ერთად ოლიმპიადა ელით. ამიტომაც მათ ძალების რაციონალურად გამოყენება და დაზოგვა მართებთ. ოლიმპიადისთვის დაგეგმილი პაუზის გამო პირველობის განრიგი ერთობ შემჭიდროვდება. თავად პიტსბურგს ერთბაშად 17 დაწყვილებული (ზედიზედ ორ დღეს) მატჩის გამართვა მოუწევს. ჰოდა, ლემიეს გადაუწყვეტია, ყოველ ამ წყვილში ერთი მატჩი გამოტოვოს სტუმრად.

„თავს მშვენივრად ვგრძნობ. ზურგიც აღარ მაწუხებს, მაგრამ ჩემს სიტუაციაში მაინც სჯობს, სიფხიზლე გამოვიჩინო" — თქვა ლემიემ. ამრიგად, მარიო პირველობაში 82 მატჩის ნაცვლად მაქსიმუმ 65 ჩაატარებს და ალბათ დანარჩენ ბომბარდირებთან ჭიდილი გაუჭირდება. ისე, შარშან მან მხოლოდ 41 მატჩი ჩაატარა, მაგრამ 76 (35 გოლი, 41 პასი) ქულით საუკეთესო ორმოცეულშიც კი შევიდა.

* * *

ასეთი რამ ნჰლ-ის საარბიტრაჟო სასამართლოს ისტორიაში პირველად ხდება. როცა კი ჰოკეისტისა და კლუბის დავა მსაჯულებს გადაუწყვეტიათ, ხელფასი ასე არავისთვის არასოდროს მოუმატებიათ, ლამის 5-ჯერ(!). ჩაკირკიტებული ამერიკელების ანგარიშით, ნიუჯერსელ პეტრ სიკორას 389 პროცენტით გაეზარდა ხელფასი. არბიტრ მაიკლ პაიჩერის გადაწყვეტილებით, მომავალ სეზონში „ეშმაკთა" ლიდერი 675 000-ის ნაცვლად 3,3 მილიონ დოლარს მიიღებს, ხოლო 2002-2003 წლების სეზონში მისი ჯამაგირი კიდევ 205 ათასით გაიზრდება. სიკორას აგენტ რიჩ ვინტერის თქმით, ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მოთამაშის ხელფასი სულაც არ ასახავდა იმ ღვაწლს, რომელიც მას მიუძღვოდა გუნდის წარმატებაში. 2001 წლის თასის ფინალში სიკორა საუკეთესო იყო თავის გუნდში და „ეშმაკებს" რომ მოეგოთ, ალბათ პლეიოფის უძვირფასესიც გახდებოდა.

აი, პიტსბურგის ცნობილმა მცველმა დარიუს კასპარაიტისმა საქმის გარჩევის დაწყებისთანავე განაცხადა, რომ ყაბულსაა, მომავალ სეზონში ნაკლები თანხა მიიღოს. „პინგვინებმა" მას 1,6 მილიონის ნაცვლად 1,15 მილიონი შესთავაზეს და დარიუსის თანხმობის შემდეგ საქმეც დაიხურა, მაგრამ იგი სულელი ან ერთობ მორიდებული არ გეგონოთ. საქმე ისაა, რომ მოთამაშეებსა და ლიგას შორის არსებობს შეთანხმება: თუ ჰოკეისტი ლიგაში 10 სეზონის ჩატარების შემდეგ საშუალო ხელფასზე (სადღეისოდ ეს 1,4 მილიონია) ნაკლებს ღებულობს, თავისუფალი აგენტის სტატუსი ენიჭება. ამგვარი კატეგორიის ჰოკეისტების ბაზარზე გასვლის შემთხვევაში დარიუსს 2002-2003 წლების სეზონში, ჯამაგირის 3 მილიონამდე გაზრდის საშუალება მიეცემა.

რაკი სიტყვა ჯამაგირებზე ჩამოვარდა, აქვე დავძენთ, რომ სენტ ლუისის ერთ-ერთი ლიდერი პავოლ დემიტრა არბიტრაჟში ორწლიანი და 7,65 მილიონიანი კონტრაქტით დასაჩუქრდა. შარშან მისი ჯამაგირი 1,8 მილიონი გახლდათ. ასე რომ, იგი თითქმის ორჯერ მეტს მიიღებს და ეს მაშინ, როცა სლოვაკმა თითქმის ნახევარი სეზონი გამოტოვა, თუმც 44 მატჩში 45 (20 გოლი, 25 პასი) ქულა მოაგროვა.

ვაშინგტონის ლიდერს, მეკარე ოლაფ კოლციგს კი სასამართლოში მისვლა არ დასჭირდა. ლიგის ელიტის წარმომადგენელმა მეკარემ და მისმა კლუბმა მშვიდად მოითათბირეს. გერმანელმა 5-წლიანი და 31 მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა. ამრიგად, მეტსახელად „ოლიგოლი" (ოლი-მეკარე) ლიგაში ერთ-ერთი ძვირადღირებული მეკარე გახდა და, როგორც ჩანს, კარიერის ბოლომდე დედაქალაქელთა ღირსებას დაიცავს.

**სამველ ღარიბიანი**


REUTERS დეტროიტიდან

ბრეტ ჰალმა „დეტროიტის" მაისურა მოირგო



## მსოფლიოს თასის მერვე ეტაპი
(ციურიხის ჩემპიონატი, 248 კმ)

# უძლიერესი ვერ იგებს...
## თუ ის მეორეობას ნაჩვევი იან ულრიხია

**იან ულრიხი** ულაპარაკოდ ყველაზე ძლიერი იყო კვირას ციურიხის ჩემპიონატში, მაგრამ პაოლო ბეტინიმ მაინც აჯობა მას და გერმანელს გამარჯვება ცხვირწინ ააცალა. შესაბამისად „მაპეის" იტალიელმა შარშანდელი ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის შემდეგ მსოფლიოს თასის მეორე ეტაპი მოიგო თავის კარიერაში. წლევანდელ ტურნირში კი უკვე რვა ეტაპი ჩატარდა და ჰოლანდიელი ერიკ დეკერი ფაქტობრივად დაეუფლა კიდეც თასს.

ციურიხში მთავარი დამარცხებული უდავოდ იან ულრიხი იყო. იგი სტარტამდე ყველამ შეჯიბრის უმთავრეს ფავორიტად შერაცხა, მიუხედავად იმისა, რომ აქ „ტურ დე ფრანსის" სამგზის გამარჯვებული ლენს არმსტრონგიც გამოდიოდა და სხვა ბევრი არანაკლებ ძლიერი მრბოლიც. თუმცა ბეტინიმ საბოლოოდ გერმანელი მაინც მეორეობას დააჯერა, როგორც 2000 წელს შვეიცარიელმა ლორან დიუფომ. და საერთოდ, გავიხსენოთ, რომ ულრიხი ლამის მუდმივი მეორეა, ის ხომ „ტურის" ოთხგზის ვიცე-ჩემპიონია.

არადა, „ტელეკომის" ლიდერი, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ნამდვილად ყველაზე ძლიერი იყო კვირას. ციურიხის გარშემო პელოტონს ექვსი წრე უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ბოლომდე ძალიან ცოტამ გაძლო. რბოლის დამწყები 185 კაციდან ფინიშს მხოლოდ 56-მა უწია (!). ვადაზე ადრე ჩამოხტა ველოსიპედიდან თავად არმსტრონგიც, რომელმაც ორი წრის გავლაც ვერ შეძლო.

მეოთხე წრის შემდეგ თითქმის ას მრბოლს უკვე მიეტოვებინა გზა, წინ კი დაახლოებით 20-კაციანი ჯგუფი გაჭრილიყო. აქ იყვნენ დეკერი, კამენზინდი, რებელინი და თავისთავად ულრიხიც. ტელეკომელს თანაგუნდელი უდო ბოლტსიც უმშვენებდა გვერდს, მაგრამ მისგან დახმარებას ნამდვილად ვერ მიიღებდა, რადგან იგი პოლონელ პრჟიდიალთან ერთად მანამდე 170-კილომეტრიან შეტევაში მონაწილეობდა და ძალები თითქმის აღარ შემორჩენოდა. ამის მიუხედავად, ულრიხს შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ მას მეტოქეობას ვერავინ გაუწევდა, რადგან ყოველ მის პატარა აჩქარებაზე დანარჩენებს სახეები ისე ემანჭებოდათ, იფიქრებდი, რბოლის გაგრძელებაზე ყველა უარს იტყვისო.

ალბათ სწორედ ამის გამო წააგო გერმანელმაც, რადგან იფიქრა, მაინც მოვიგებო და დამშვიდებულმა განაგრძო გზა. არადა, სპეციალისტების აზრით, მას ბოლოსწინა წრეზე რომ შეეტია, ნაღდად ველარავინ დაეწეოდა და ფინიშს ეულად უწევდა. თუმცა...

ტაქტიკური შეცდომა თუ უბრალო უყურადღებობა? ალბათ, ორივე.

ფინიშამდე დაახლოებით 25 კილომეტრით ადრე სამი მრბოლი გამოეყო დანარჩენებს. ამ დროისთვის კიდევ ორი დაბრკოლება რჩებოდა დასაძლევი. ჯორჯ ჰინკეპიმ, კრისტიან მორენიმ და პაოლო ბეტინიმ ბედთან შეთამაშება განიზრახეს. აპენინელებმა მალე ჩამოიტოვეს ამერიკელი და დანარჩენებთან გარკვეული უპირატესობაც მიიღეს. ულრიხმა რეაგირება დააგვიანა და ლტოლვილებს, ფრანჩესკო კასაგრანდესა და ფერნანდო ესკარტინის თანხლებით ფინიშამდე 10 კილომეტრით ადრე, უკანასკნელ აღმართზეღა დაეწია. ანუ მაშინ, როცა თავად გადამწყვეტი იერიშისთვის აღარც დრო რჩებოდა და აღარც დაბრკოლება.

მერე მორენი ჩამორჩა, ესკარტინი და კასაგრანდე სპრინტებში სიძლიერით ვერ დაიკვეხნიან და ამიტომაც მთავარი ბრძოლა ულრიხსა და ბეტინის შორის გაიმართა. გამარჯვებული კი უკვე ვიცით, ვინც გამოვიდა.

„ამ წარმატებით უზომოდ კმაყოფილი ვარ, რადგან წლეულს სხვაგან არსად გამიმარჯვია. სპრინტისას ულრიხმა აჩქარება დააგვიანა, მოკლე მანძილზე კი მე გარკვეული უპირატესობა მაქვს და ამიტომაც მოვუგე" — განაცხადა ბეტინიმ.

**გაგი გურული**

1. პაოლო ბეტინი (იტალია, მაპეი) 6სთ 17წთ 48წმ
2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი)
3. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი, კოასტი)
4. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ფასა ბორტოლო) ყველას იგივე დრო
5. ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) +21წმ

### საერთო ჩათვლა

1. ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) 305 ქულა
2. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) 200
3. რომანს ვაინშტეინსი (ლატვია, დომო) 197
4. პაოლო ბეტინი (იტალია, მაპეი) 195
5. დავიდე რებელინი (იტალია, ლიკიგასი) 170


AFP ციურიხიდან

იან ულრიხი (მარცხნივ) პაოლო ბეტინის ბოლო მეტრებზე ჩამორჩა

**იყიდება**
ორსართულიანი კერძო ბინა დოლიძის ქუჩაზე.
170 კვ.მ. საერთო ფართით, გარაჟით,
150 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით
**ტელ: 78 28 77**


# სარბიელი

# სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

# კროკო

**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა,
კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან,
ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16
(ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23
ბათუმში — მემედ აბაშიძის
(ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113,
ფიროსმანის ქუჩა №7
ქობულეთში — აღმაშენებლის ქუჩა №106
მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39
გურჯაანში — დავით გურამიშვილის ქუჩა №28


ეროვნული ბიბლიოთეკა

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). VI ტური. 31 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 001 | ოსნაბრიუკი-აუე | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| | | **1 სექტემბერი** | | | |
| 17.00 | 002 | ქემნიცი-მუნსტერი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 17.00 | 003 | ლიუბეკი-ბრაუნშვაიგი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 17.00 | 004 | ფერლი-ლევერკუზენი (მ.) | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 17.00 | 005 | დრეზდენი-ვერდერი (მ.) | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 17.00 | 006 | ურდინგენი-კილი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 007 | ურდინგენი-კილი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | | **2 სექტემბერი** | | | |
| 17.00 | 008 | მაგდებურგი-ვატენშაიდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 009 | ესენი-დიუსელდორფი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). V ტური. 29 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 010 | ტრირი-დარმშტადი | 1,7 | 3,3 | 4,2 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). VI ტური. 1 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 011 | რეგენსბურგი-ელვერსბერგი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 18.00 | 012 | კიკერსი-მანჰაიმი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 18.00 | 013 | დარმშტადი-ვეჰენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.00 | 014 | ჰოფენჰაიმი-აალენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| | | **2 სექტემბერი.** | | | |
| 18.00 | 015 | კაიზერსლ.(მ.)-ბურგჰაუზენი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 20.00 | 016 | ზიგენი-ფულდა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 017 | ოფენბახი-ტრირი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

**ინგლისი. II დივიზიონი. V ტური. 30 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 022 | ქუინზ პარკი-ბრისტოლი | 2,1 | 3,1 | 3,2 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. VI ტური. 29 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 042 | ბოვე-ლავალი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 043 | კაენი-ამიენი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 23.00 | 044 | შატორუ-ლე ავრი | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.00 | 045 | კრეტეი-გენიონი | 2,7 | 2,8 | 2,5 |
| 23.00 | 046 | გრენობლი-ვალსეალი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 047 | ლე მანი-მარტიგი | 1,95 | 2,8 | 4,0 |
| 23.00 | 048 | ნანსი-ნიცა | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 049 | ნიმი-ისტრი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 23.00 | 050 | ნიორი-სტრასბური | 2,5 | 2,9 | 2,6 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. II ტური. 1 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 079 | ეიბარი-ატლეტიკო | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | **2 სექტემბერი.** | | | |
| 21.00 | 080 | ესტრემადურა-სერესი | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 21.00 | 081 | ბურგოსი-ხიმნასტიკი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 21.00 | 082 | ხაენი-ეხიდო | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 21.00 | 083 | ფეროლი-მურსია | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 21.00 | 084 | ლეგანესი-ელჩე | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 21.00 | 085 | ლევანტე-კორდობა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 21.00 | 086 | სალამანკა-ალბასეტე | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 21.00 | 087 | უელვა-ნუმანსია | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 21.00 | 088 | სპორტინგი-ბადახოსი | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 22.00 | 089 | რასინგი-ოვიედო | 1,8 | 3,0 | 4,2 |

**პორტუგალია. I ლიგა. გადადებული მატჩი. 2 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 090 | სანტა კლარა-ალვერკა | 2,1 | 2,9 | 3,4 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. III ტური. 31 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 091 | კამბური-როზენდალი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.00 | 092 | იგლსი-ემენი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 23.00 | 093 | ჰერაკლესი-ექსელსიორი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 23.00 | 094 | მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 23.00 | 095 | ტელსტარი-ჰელმონდი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.00 | 096 | ვენლო-ოსი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 097 | დორდრეხტი-ვეენდამი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| | | **2 სექტემბერი.** | | | |
| 17.30 | 098 | ვოლენდამი-ზვოლე | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 17.30 | 099 | ჰაარლემი-დენ ჰააგი | 2,3 | 3,2 | 2,7 |

**ბელგია. II დივიზიონი. II ტური.**

**29 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 100 | დენდერლეუ-გეელი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.30 | 101 | რონსე-ვირტონი. | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 23.00 | 102 | ლიეჟი-დაინცე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 103 | მეხელენი-ჰეუსდენი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.00 | 104 | პატრო-ვიხეტი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 105 | რუხელარე-მონსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 106 | სერკლი-ფლაანდერენი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 23.00 | 107 | ინგელმუნსტერი-ტინენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 108 | დესელი-სტრომბეკი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

**შვეიცარია. Á ჯგუფი. XI ტური.**

**30 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 118 | ბადენი-ვადუცი | 1,85 | 3,1 | 3,8 |

**2 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 119 | ვილი-კარუჟი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.15 | 120 | კონკორდია-კრინსი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.15 | 121 | დელემონი-ვინტერთური | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.15 | 122 | ლოკარნო-თუნი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 19.15 | 123 | ივერდონი-ბელინცონა | 1,85 | 3,2 | 3,6 |

**ფინეთი. გადადებული მატჩი**

**30 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 124 | როვანიემი-ჰაკა | 3,0 | 3,1 | 2,2 |

**იტალია. თასი. I ეტაპი**

**29 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 136 | ჯენოა-ბარი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.45 | 137 | ტრევისო-არეცო | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.00 | 138 | კომო-ვენეცია | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.30 | 139 | კოსენცა-ასკოლი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 23.30 | 140 | სიენა-ლივორნო | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.30 | 141 | პალერმო-ნაპოლი | 2,9 | 2,9 | 2,4 |
| 23.30 | 142 | კალიარი-ლუმეცანე | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| 23.30 | 143 | მოდენა-რეჯინა | 2,7 | 2,8 | 2,5 |
| 23.30 | 144 | ჩიტადელა-აველინო | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 23.45 | 145 | მონცა-სამპდორია | 3,0 | 29 | 2,3 |
| 23.30 | 146 | მესინა-ვიჩენცა | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.30 | 147 | კროტონე-პესკარა | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.45 | 148 | ტერნანა-კიევო | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 24.00 | 149 | პისტოიეზე-პრატო | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 23.30 | 150 | კატანია-ანკონა | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.30 | 151 | ემპოლი-სალერნიტანა | 2,0 | 2,8 | 3,8 |

**პოლონეთი. ლიგის თასი. IV ეტაპი. I წრე.**

**29 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 152 | ოსტროვეცი-ვისლა | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 20.00 | 153 | რუხი-რადომსკო | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.00 | 154 | ლეგია-გურნიკი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.00 | 155 | გროცლინი-კატოვიცე | 1,85 | 3,1 | 3,8 |

**30 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 156 | პოლონია-ოდრა | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**მერკოსურის თასი.**

**29 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 501 | უნ. კატოლიკა (ჩილე)-სერო პორტ. (პარაგვაი) | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**მერკონორტეს თასი.**

**29 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 503 | ბარსელონა (ეკვადორი)-ვიზარდსი (აშშ) | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 06.10 | 504 | მილიონარ. (კოლუმბია)-მეტროსტარსი (აშშ) | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**30 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.10 | 505 | ბლუმინგი (ბოლივია)-ატლ.ნასიონალი (კოლ.) | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**შესარჩევი მატჩები.**

**1 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 506 | ირლანდია-ჰოლანდია | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 19.00 | 507 | ისლანდია-ჩეხეთი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 19.00 | 508 | მოლდოვა-აზერბაიჯანი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 509 | უელსი-სომხეთი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 510 | შოტლანდია-ხორვატია | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 511 | აშშ-ჰონდურასი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 20.45 | 512 | პოლონეთი-ნორვეგია | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 21.00 | 513 | ფარერები-ლუქსემბურგი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 514 | ბელარუსი-უკრაინა | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 21.00 | 515 | საქართველო-უნგრეთი | ანგარიში | – | 5,0 |
| 22.00 | 516 | ალბანეთი-ფინეთი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 22.15 | 517 | დანია-ჩრდ. ირლანდია | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 518 | დანია-ჩრდ.ირლანდია 0:1 | 1,75 | 3,0 | 3,2 |
| 22.30 | 519 | გერმანია-ინგლისი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.45 | 520 | სლოვაკეთი-თურქეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 521 | მალტა-ბულგარეთი | 9,0 | 5,0 | 1,25 |
| 23.00 | 522 | მაკედონია-შვედეთი | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| 23.15 | 523 | შვეიცარია-იუგოსლავია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.15 | 524 | სლოვენია-რუსეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.15 | 525 | ბოსნია-ისრაელი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 23.45 | 526 | ლიტვა-იტალია | 9,0 | 5,0 | 1,25 |
| 01.00 | 527 | ანდორა-პორტუგალია | 16,0 | 8,0 | 1,03 |
| 01.00 | 528 | ესპანეთი-ავსტრია | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 529 | ესპანეთი-ავსტრია 0:1 | 1,75 | 3,0 | 3,2 |
| 01.00 | 530 | ტრინიდადი-კოსტა რიკა | 3,6 | 3,1 | 1,9 |

**2 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 02.00 | 531 | იამაიკა-მექსიკა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ევროპის ახალგაზრდული (21 წლამდე) ჩემპიონატი.**

**31 აგვისტო.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 551 | მოლდოვა-აზერბაიჯანი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 552 | ქლიტვა-იტალია | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| 19.30 | 553 | პოლონეთი-ნორვეგია | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 20.00 | 554 | სლოვაკეთი-თურქეთი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.00 | 555 | ბელარუსი-უკრაინა | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 20.00 | 556 | საქართველო-უნგრეთი | ანგარიში | – | 5,0 |
| 20.30 | 557 | ალბანეთი-ფინეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 558 | მალტა-ბულგარეთი | 7,5 | 4,0 | 1,35 |
| 22.00 | 559 | ირლანდია-ჰოლანდია | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 22.00 | 560 | დანია-ჩრდ. ირლანდია | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 22.00 | 561 | ისლანდია-ჩეხეთი | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 22.30 | 562 | შვეიცარია-იუგოსლავია | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 563 | გერმანია-ინგლისი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 23.30 | 564 | უელსი-სომხეთი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.30 | 565 | შოტლანდია-ხორვატია | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 01.00 | 566 | ესპანეთი-ავსტრია | 1,25 | 5,0 | 9,0 |

**1 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 567 | სლოვენია-რუსეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 568 | მაკედონია-შვედეთი . | 7,0 | 3,8 | 1,4 |
| 21.00 | 569 | ბოსნია-ისრაელი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

1 აგვისტოდან კროკო
ხუთშაბათობითაც მუშაობს.
დასვენების დღე
მხოლოდ ორშაბათია.
სამუშაო დღეები: სამშაბათი,
ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი,

შპს „კროკოს“ ადმინისტრაცია
გაფრთხილებთ!

ფოთში, მისამართზე რკალი 5, მუშაობს თვითმარქვია ტოტალიზატორი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შპს „კროკოსთან“. შესაბამისად, შპს „კროკო“ აღნიშნული თვითმარქვია ტოტალიზატორის მუშაობაზე არანაირ პასუხისმგებლობას არ კისრულობს და შესაძლო პრეტენზიებს არ განიხილავს.

ფოთში დღესდღეობით „კროკოს“ ბიურო არ არსებობს.

არალეგალური საქმიანობა ისჯება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. შპს „კროკოს“ ადმინისტრაცია კომპეტენტურ ორგანოებს შესაბამისი რეაგირებისთვის მიმართავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. მეცხრე ეტაპი (ფინეთი)

# ფინეთში ფინელს ვინ აჯობებს?!

**ფინეთის** რალი ერთ-ერთი უძველესი საავტომობილო შეჯიბრებაა — წლეულს უკვე 51-ედ ჩატარდა. „ათასი ტბის ქვეყნის" რელიეფი მთაგორიანი არაა, რის გამოც ტრასა ჩქაროსნულია, თუმცა იმავდროულად საკმაოდ რთულიც, რადგან მონაწილეებს გზაზე უამრავი ტრამპლინი ხვდებათ. მაღალ სისწრაფეზე თითქმის 50-მეტრიანი ნახტომები კი მრბოლ-მანქანას გამორჩეულად მძიმე პირობებს უქმნის, რასაც ბევრმა ვერ გაუძლო.

მთელი დისტანცია 1678 კილომეტრი იყო, აქედან 408 ჩქაროსნულ მონაკვეთებზე მოდიოდა. პირველობის უმთავრეს პრეტენდენტად მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი და წლევანდელი გათამაშების ლიდერი ტომი მაკინენი ითვლებოდა. ფინელი მრბოლი მშობლიურ გზებს, ცხადია, მშვენივრად იცნობს და რა გასაკვირია, რომ ხუთჯერ გამარჯვებაც მოასწრო. მაგრამ ამჯერად დასაწყისშივე მოეცარა ხელი — პირველივე ჩქაროსნულ უბანზე, ერთ-ერთ მოსახვევში მცირე შეცდომის შედეგად მისი „მიცუბიში" წინა მარცხენა ბორბლით კუნძზე შეხტა და შეკიდულობა დაემტვრა.

ფავორიტის გამოთიშვამ გზა გაუხსნა მის უახლოეს მდევარ კოლინ მაკრეის. შოტლანდიელი რბოლის მოგების შემთხვევაში სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცეოდა, მაგრამ ამ შანსის გამოყენება ვერ შეძლო. მაკრეის მართალია, უხეიროდ არ უასპარეზია და სამდღიანი მარათონი პოდიუმზე დაასრულა, მაგრამ მაკინენს მხოლოდ ოთხი ქულით დაუახლოვდა.



ყველაზე შორს მარკო მარტინის „სუბარუმ" იფრინა

თავიდან ჰარი როვანპერა დაწინაურდა, თუმც სულ მცირე ხნით. მეორე და მესამე სპეცმონაკვეთების მოგებით ლიდერობა ამჟამინდელმა ჩემპიონმა, ფინეთის რალის შარშანდელმა გამარჯვებულმა მარკუს გრონჰოლმმა იგდო ხელთ. პირველი დღის ბოლოს მას ინგლისელმა რიჩარდ ბარნსმა გაუსწრო არც ისე ბევრით, მხოლოდ 3,5 წამით და საკმაოდ მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაძაბული ბრძოლის მოლოდინში იყო, მაგრამ პირველობის ბედი ნაადრევად, პრაქტიკულად შუა რბოლაში გადაწყდა. ბარნსისა და რობერტ რიდის „სუბარუს" მეათე უბნის დაძლევისას საბურავი გაუსკდა, რის გამოც ბრიტანელთა ეკიპაჟი 15 წამით ჩამორჩა კონკურენტებს. გრონჰოლმმა და ტიმო რაუტიაინენმა კი თავიანთი „პეჟოთი" მთელი ტრასა უშეცდომოდ გაძლიეს და ფინიშზე თითქმის ნახევარი წუთით მიასწრეს მეტოქეებს. ფინელებმა წლეულს პირველი გამარჯვებით რვა ადგილით გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა.

მეორე ადგილის მშვენიერი შანსი ჰქონდა კიდევ ერთ ფინელს, ჰარი როვანპერას (შტურმანი რისტო პიეტილაინენი), მაგრამ რბოლის ბოლოს ამორტიზატორის გატეხვამ მისი „პეჟო" მეოთხე პოზიციაზე გადაისროლა. სენსაცია გახდა 25 წლის მარკო მარტინის ჩინებული გამოსვლა. ესტონელმა პილოტმა, რომელსაც გზას ბრიტანელი მაიკლ პარკი უკვალავდა, მაღალი ოსტატობა გამოავლინა და საპატიო მეხუთე ადგილი დაიკავა, რაც მის ხუთწლიან კარიერაში საუკეთესო შედეგია.

რაც შეეხება გუნდურ ჩათვლას, მაკრეის ექვსი ქულით „ფორდი" ლიდერ „მიცუბიშის" წამოეწია — ორივე ავტოგიგანტს 66-66 ქულა დაუგროვდა. მესამე ადგილზე მყოფი „პეჟო" მათ 27 ქულით ჩამორჩება.

**გია ახალაძე**

| რბოლის შედეგები | |
|---|---|
| 1. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | 3სთ; 23.12,8 |
| 2. რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, სუბარუ) | ჩამორჩა 25,0 |
| 3. კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) | 32,3 |
| 4. ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) | 33,9 |
| 5. მარკო მარტინი (ესტონეთი, სუბარუ) | 1.17,9 |
| 6. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) | 1.40,5 |

**საერთო ჩათვლა**

1. ტომი მაკინენი (ფინეთი, მიცუბიში) 40 ქულა; 2. კოლინ მაკრეი 34; 3. კარლოს საინსი 27; 4. ჰარი როვანპერა 23; 5. რიჩარდ ბარნსი 21; 6. მარკუს გრონჰოლმი 14; 7. ფრანსუა დელაკური (საფრანგეთი, ფორდი) 14; 8. დიდიე ორიოლი (საფრანგეთი, პეჟო) 10; 9. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) 9; 10. ფრედ ლუაქსი (ბელგია, მიცუბიში) 9.


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე დანაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

# ჟაკ როგის ვიზიტმა უნივერსიადა დაჩრდილა

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის ახალარჩეული პრეზიდენტი ჟაკ როგი აქტიურად შეუდგა მუშაობას. ჯერ იყო და საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატს დაესწრო, მერე ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატსაც დასდო პატივი. ახლაა და ჩინეთის დედაქალაქშია. როგი პეკინში მიმდინარე მსოფლიოს უნივერსიადას ეწვია და პარალელურად 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლებთან საქმიან შეხვედრებს მართავს. სოკ-ის პრეზიდენტის ჩინეთში ვიზიტმა პეკინელი მაღალჩინოსნებისა და ასობით ჟურნალისტის ცხოველი ყურადღება გამოიწვია. თავად განსაჯეთ, როგისადმი ინტერესი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მსოფლიოს უნივერსიადა მეორეხარისხოვან მოვლენად იქცა ჩინეთში. ეგ კი არა, ღონისძიების ორგანიზატორებს ლამის მოცურავეთა, ძიუდოისტთა, წყალში მხტომელთა თუ მაგიდის ჩოგბურთელთა მედლებით დაჯილდოების ცერემონიალის გამართვაც კი დაავიწყდათ. თუმცა, საბედნიეროდ, გონს მოეგნენ და ყველაფერი ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა.

მას შემდეგ, რაც ჩინელებმა 2008 წლის მასპინძლობის პატივი მოიპოვეს, ჩათვალეს, რომ მსოფლიოს უნივერსიადა საუკეთესო საშუალებაა გენერალური რეპეტიციის გასავლელად. როგიც დარწმუნებულია, რომ პეკინი დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით გაართმევს თავს. ამასთან ერთად ყველას შეახსენა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს არავითარი საერთო არა აქვს პოლიტიკურ ორგანიზაციებთან. თუ რატომ დასჭირდა სოკ-ის მე-8 პრეზიდენტს ამაზე ყურადღების გამახვილება, მოგახსენებთ.

2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლის შერჩევისას პოლიტიკური თუ არასამთავრობო ორგანიზაციები სოკ-ის წევრებს მოუწოდებდნენ, რომ პეკინის კანდიდატურა უგულებელეყოთ, ჩინეთი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამო ასეთ პატივს არ იმსახურებსო. თუმცა, როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, მათ ყური არავინ ათხოვა. სოკ-ის 112-ე სესიაზე პეკინმა ოთხივე მეტოქე — ტორონტო, პარიზი, სტამბოლი და ოსაკა დიდი უპირატესობით მოიტოვა უკან.

„სოკ-ი სპორტის ხელმძღვანელი ორგანოა და არა პოლიტიკური. ადამიანის უფლებათა დაცვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა საქმეა. ჩინეთმა გარდა იმისა, რომ ოლიმპიადის მასპინძლობით ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ გადადგა ნაბიჯი, ის ადამიანთა უფლებების საკითხსაც უკეთესობისკენ შეაბრუნებს. რა თქმა უნდა, ამით ჩინეთი სპორტის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. თუმცა ისე არ გამიგოთ, თითქოს 2008 წლისთვის რაღაც რევოლუციური გარდატეხა მოხდება ოლიმპიადების ისტორიაში. ის, რომ ოლიმპიადას მასპინძლობ, უკვე დიდი წარმატებაა და ჩვენ კვლავაც ვიმუშავებთ მისი უკეთ წარმოჩენისთვის" — ჩინეთში ვიზიტისას განაცხადა როგმა.

იქვე მან პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორებს ამასთან დაკავშირებით მხარდაჭერა სთხოვა. კერძოდ, 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლებს მოუწოდა, რომ ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ბიუჯეტი შეკვეცონ. „ვიმედოვნებთ, რომ პეკინის ოლიმპიადა იდეალურ მასშტაბებს არ გასცდება. სიდნეის გამოცდილებიდან დავასკვენით, რომ ამის გაკეთება აუცილებელია.

სოკ-ი უახლოეს ხანში შეისწავლის, როგორ შეამციროს ოლიმპიადებისთვის საჭირო ხარჯები. თუმცა ეს ათლეტთა და სპორტის სახეობათა შემცირების ხარჯზე არ მოხდება. და თუ ეს განხორციელდა, გარდა იმისა, რომ თანხებს დავზოგავთ, ოლიმპიადების ორგანიზებაც შედარებით გაადვილდება" — სამომავლო პროგრამა ჩამოაყალიბა სოკ-ის პრეზიდენტმა.

გარდა ამისა, როგმა ერთი-ორი სიტყვა ჟურნალისტებთან დაკავშირებითაც თქვა. მას მიაჩნია, რომ პეკინის ოლიმპიადას 20-დან 25 ათასამდე აკრედიტირებული ჟურნალისტი გააშუქებს, რისთვისაც ჩინელ მაღალჩინოსნებს აქედანვე მოუწოდა, მათ საქმიანობას ხელი არ შეეშალოს. მედიისა და ოლიმპიურ დელეგაციათა ხელმძღვანელებისათვის ყველა კარი ღია უნდა იყოსო.

REUTERS



პეკინის აეროპორტში ჟაკ როგს ქალაქის თავი ლიუ ქი (შუაში) და ჩინეთის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ტუ მინგდე შეეგებნენ


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თსსუ ცენტრალური კლინიკა (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო). I სართული ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109

იყიდება

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ.მ. მიშენებით, დიღმის მასივში, მე-4-ე კვარტალი, მე-19-ე კორპუსი, პირველი სართული. ფასი შეთანხმებით ტელ.: 95-90-32, 39-71-98, 877 42-82-83





რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80


# იანკები თამაშგარეთ დატოვეს



ოლიმპიურ მოძრაობას ანიტა დეფრანცი აღარ სჭირდება?

**ამერიკელი** ანიტა დეფრანცის მცდელობა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელ საბჭოში შეენარჩუნებინა ადგილი, უშედეგოდ დამთავრდა. მართალია, დეფრანცი სოკ-ის მმართველ საბჭოში ხმის უფლების ნაცვლად მხოლოდ მის სხდომებზე დასწრებას ითხოვდა, მაგრამ არც ამან გაჭრა. დეფრანცისთვის ამ ერთი თვის წინათ სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტობის მანდატის ამოწურვამ, ეტყობა, აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტი თამაშგარეთ დატოვა. მსოფლიოს სპორტის ყველაზე გავლენიანი ეოკ-ი, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღმა დარჩა. ესეც რომ არა, იანკებს 15-კაციან საბჭოში ადგილის დაკარგვით ფინანსური საფრთხეც მოელით. მოგეხსენებათ, ამერიკელებს სოკ-თან არაერთი ფინანსური ხელშეკრულება აქვთ. აქედან უმნიშვნელოვანესი, რა თქმა უნდა, სატელევიზიო ხელშეკრულებებია. ამასთან, სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება, აღმასრულებელ საბჭოში ამერიკელის არყოფნა კი, როგორც თავად აცხადებენ, უარყოფით გავლენას მოახდენს 2002 წლის ოლიმპიადის მასპინძლებზე. მოვლენათა ასეთი განვითარებით განაწყენებული ჩანს თავად დეფრანცი. „მე აშშ-ში ოლიმპიადების მასპინძლობის ყველაზე დიდი გამოცდილება მაქვს. რაკი ყოველივე ეს სოკ-თანაა დაკავშირებული, გულნატკენი ვარ, რადგან ჩემი გამოცდილების გაზიარება არავის სურს. რამდენადაც შემეძლო, საკუთარი თავი ოლიმპიურ მოძრაობას მივუძღვენი. ეტყობა, მას აღარ ვჭირდები". — ლუცერნში ნიჩბოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩასვლისას ნაწყენი ჩანდა დეფრანცი.

# ვადამ ლოზანას უგანა

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის მიერ შავ სიაში შეტანილი პრეპარატების მაკონტროლებელმა მსოფლიოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (ვადა) ახლახან დასრულებულ ტალინის სხდომაზე საკუთარი ჭერიც იპოვა და მომავლის სამოქმედო გეგმებიც შეიმუშავა.

მოგეხსენებათ, ამ სამიოდე წლის წინათ დოპინგთან მებრძოლი უმთავრესი სააგენტო, რომელსაც დროებით ლოზანასთვის შეეფარებინა თავი, საკუთარი შტაბბინისთვის ადგილის ძიებაში იყო. მას რამდენიმე ქალაქი სთავაზობდა ნავსაყუდელს. მათგან სამი — მონრეალი, ვენა და ლოზანა ყველაზე მეტად გამოირჩეოდა. მართალია, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა უმეტესობას ლოზანაში დაუდევს ბინა, რაც მის შანსებს ზრდიდა კიდეც, მაგრამ აშშ-ს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანამემამულე ვადა-ს წევრ სოკ-ელებს მოუწოდებდა, რომ ლოზანასთვის მხარი არ დაეჭირათ. მოტივად იმას ასახელებდნენ, რომ ამით საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა მხრიდან შესაძლო ზეწოლას თავს აარიდებდნენ. ვერ გეტყვით, რამ განაპირობა, მაგრამ ფაქტია, ვადა-ს დამფუძნებელთა საბჭოს ჩვიდმეტმა წევრმა მონრეალს დაუჭირა მხარი, თხუთმეტმა ლოზანას.

არჩევნებს თავიდანვე გამოეთიშნენ ბონი (1 წრეში), სტოკჰოლმი (2 წრეში) და ვენა (3 წრეში).

„კანადამ უდიდესი ნაბიჯი გადადგა დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში, მონრეალი კი, ეს ინტერნაციონალური ქალაქი, ბრწყინვალე სახლი იქნება ვადა-სთვის" — განაცხადა ვადა-ს კანადელმა პრეზიდენტმა დიკ პაუნდმა, რომელსაც არც ლოზანა დავიწყებია: „ჩვენი საქმიანობის საწყის ეტაპზე ლოზანა დიდებული ადგილი იყო ვადასთვის. ასე რომ, მისი მოქალაქეებისა და ოფიციალური პირების მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის. თუმცა საბჭომ მიიჩნია, რომ მონრეალი ყველაზე უკეთ შეესაბამება ჩვენს მომავალს".

სამომავლოდ კი ვადამ ტალინში ახალი ანტიდოპინგური სისტემა წარადგინა, რომელიც სპორტსმენთათვის სპეციალურ პასპორტთა შემოღებას ითვალისწინებს.

გარდა ამისა, დიკ პაუნდმა დოპინგის წინააღმდეგ მიმართული ზომების სარგებლიანობისთვის საინფორმაციო ცენტრისა და ერთიანი კომპიუტერული სისტემის შექმნის გეგმაც შეიმუშავა. ამასთანავე დადგინდა სააგენტოს ბიუჯეტიც, რომელიც 1,76 მილიონ დოლარს შეადგენს. პაუნდმა ეს თანხა სამი ძირითადი პუნქტისთვის შეიგულა, რაც ითვალისწინებს მთელ მსოფლიოში დამოუკიდებელ ლაბორატორიათა ქსელის შექმნას, ახალგაზრდობაში დოპინგ-პრეპარატთა მავნებლობის პროპაგანდას და საერთაშორისო შეჯიბრებათა ყველა მონაწილისთვის სპეციალური სამედიცინო პასპორტის შემოღებას. მასში აღინიშნება ამა თუ იმ სპორტსმენისთვის მორიგი ანალიზის ჩატარების თარიღი და მის სისხლში ერითროციტების, ტესტერონის და სხვათა შემცველობის რაოდენობა.

ეტყობა, სოკ-ის პრეზიდენტობის არჩევნებში წარუმატებლობის შემდეგ პაუნდი დამშვიდდა და ახალი შემართებით შეუდგა საქმიანობას.

**გიგა გურასაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კეთილი ნების ბრისბენში



REUTERS ბრისბენიდან

ავსტრალიური ქალაქი ბრისბენი კეთილი ნების თამაშებს მასპინძლობს. თამაშები დღეს დაიწყება და ამ სპორტულ მოვლენაში ერი და ბერია ჩართული. ბრისბენში ჩასულია სპრინტის ვარსკვლავი მარიონ ჯონსიც, რომელიც დაწყებითი სკოლის მოწაფეებს შეხვდა, მათში სპორტული მისწრაფებების გასაღვივებლად.

# სამი ერის თასისათვის

ახლოა სამი ერის სარაგბო შეჯიბრის გადამწყვეტი შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონ ავსტრალიელებსა და ახალზელანდიელებს შორის. სამყაროს ორი უძლიერესი გუნდის ორთაბრძოლა შაბათს გაიმართება სიდნეიში, „ავსტრალია სთედიუმზე", ამ კვირაში კი ვარჯიშ-მზადებაა გახურებული. ახალზელანდიელები ბრუკვეილის ოვალზე ემზადებიან. წლეულს მუხლის ტრავმით ტანჯული მათი მცველი, კრისტიან კალენი (მარჯვნივ) ამ ჯერზე ჯანზეა და დიდი მონდომებით ღვრის ოფლს, რათა უმნიშვნელოვანესი ტესტი განზე არ დაურჩეს.



REUTERS სიდნეიდან



REUTERS პეკინიდან

# როგი საქმეს ეცნობა

პეკინში მიმდინარე 21-ე უნივერსიადას ეწვია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი. ჩინელებს არც აქამდე დაუმალავთ, რომ უნივერსიადა 2008 წლის ოლიმპიადის პირველი დიდი რეპეტიციაა. ჰოდა, ახალ პრეზიდენტსაც გრანდიოზული სპორტული მშენებლობების პროექტები წარუდგინეს. მაგალითად, ეს მაკეტი ოთხ წელიწადში უზარმაზარ სპორტის სასახლედ იქცევა. პრეზიდენტი კმაყოფილია.





REUTERS ნიუ იორკიდან

# სერენას საცქერლად

სეზონის ბოლო დიდი სლემის ტურნირი, ამერიკის ღია პირველობა გახურდა ნიუ იორკის კორტებზე. ტერასაზე გამოჩნდა სენატორი ნიუ იორკის შტატიდან ჰილარი როდჰემ-კლინტონი, რომელიც ვიპ-თა ლოჟაში ჩოგბურთის ლეგენდის, ბილი ჯინ კინგის გვერდით იჯდა და თვალს ადევნებდა, თუ როგორ ჯაბნიდა სერენა უილიამსი გერმანელ ანკა ბარნას. ამ გრძელკანჭა გოგომ პირველი სეტი კი მოუგო შავ სირინოზს, მაგრამ მეტი ვეღარ შესძლო და ჯამში უილიამსმა იოლად გაიმარჯვა 4:6, 6:1, 6:2.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა ჯოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge